

მაყურებინეთ ყველა ქართული ტელეარხი!
დააკანონე must-carry!

ეს შენ გეხება

# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 14 ივნისი, 2012 წელი.

№112 (6988)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge   ვებ გვერდი: www.open.ge   ფასი 50 თეთრი.


## შეასრულებს 27 მაისის აქცია თავის დანიშნულებას?



3

## ქველმოქმედმა მილიარდერმა ქართული პოლიტიკა შეცვალა



8

## „შეშფოთებები“, ანუ ორმაგი სტანდარტები



5

## ჰილარი კლინტონის ვიზიტი ბათუმში



6

## „სახალხო კრების“ რთული არჩევანი

4



## სად არის სიმართლე და რა ხდება ჩვენს თავს?

2

## „თქვენი დაბრუნება საწინდარი იყოს ჩვენი ყველა მხარის გაერთიანებისა“...

9



### მოვლენის წინ

# დავით ბერძენიშვილი: გურია ლიდერი ოპოზიციური კუთხეა საქართველოში!



**თბილისისა და ქუთაისის შემდეგ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნება" მომდევნო დემონსტრაციის ჩატარებას 17 ივნისს ოზურგეთში გეგმავს. როგორია გურიაში მოსახლეობის განწყობა, რამდენად ძლიერია ოპოზიციური მუხტი და ადამიანების დაახლოებით რა რაოდენობას ელის კოალიცია ოზურგეთის დემონსტრაციაზე? — ამ საკითხებზე „მედიანიუსი" გურიაში „ქართული ოცნების" წარმომადგენელს, რესპუბლიკელ დავით ბერძენიშვილს ესაუბრა.**

**— ბატონო დავით, გავრცელდა ინფორმაცია, რომ შესაძლოა, კოალიციას ოზურგეთში აქციის ჩატარების ადგილთან დაკავშირებით პრობლემები შეექმნას, რადგან რაიონულ ცენტრში არსებული მოედნებიდან რამდენიმე გადათხრილია სარეკონსტრუქციო სამუშაოების გამო...**

— დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ ოზურგეთში აქციის ჩატარებას შევძლებთ. ოზურგეთში არის რამდენიმე ადგილი, სადაც შეიძლება ასეთი მასშტაბური აქცია ჩატარდეს. ეს ადგილები ერთმანეთთან ძალიან ახლოს არის და ნებისმიერი მათგანი არის სრულიად საკმარისი იმისათვის, რომ ხელისუფლებას მრავალათასიანი მიტინგის ხმა გავაგონოთ. აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ აქცია შედგება და იქნება ძალიან მასშტაბური. ოზურგეთს ძალიან კარგად ვიცნობ, იქ ასე არ არის, რომ რომელიმე ერთი ცენტრალური მოედანი გამოკვეთილი იყოს.

**— შეიტანეთ თუ არა უკვე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურში განცხადება აქციის ჩატარებისათვის ნებართვის აღების თაობაზე?**

— ჩვენი წარმომადგენლები ამ თემაზე მუშაობენ და დარწმუნებული ვარ, რომ მთელ ოზურგეთს ვერ გადათხრიან და ჩვენ იქ აქციას ჩავატარებთ.

**— თქვენ თქვით, რომ აქცია მასშტაბური იქნება. მაინტერესებს, თქვენი გათვლებით, დაახლოებით რამდენი ადამიანი უნდა მივიდეს დემონსტრაციაზე იმისათვის, რომ ოზურგეთის აქცია კოალიცია „ქართულმა ოცნებამ" ისევე წარმატებულად შეაფასოს, როგორც ქუთაისსა და თბილისში?**

— გურია პატარაა, სულ სამი რაიონია. ლანჩხუთი და ჩოხატაური პატარა რაიონებია, მაგრამ ამის მიუხედავად, დარწმუნებული ვარ, რომ მოსახლეობის რაოდენობის პროპორციის თვალსაზრისით ოზურგეთის აქცია კიდევ უფრო დიდი იქნება, ვიდრე ქუთაისის ძალიან სოლიდური დემონსტრაცია. ოზურგეთში მცხოვრები ჩვენი მხარდამჭერები ბლომად არიან. მე 30-მდე შეხვედრა ჩავატარე გურიაში. მთელი ამ თვენახევრის განმავლობაში ძირითადად იქით ვიყავი და ამიტომ, კარგად ვიცი ხალხის განწყობა.

**— თქვენ რამდენიმე ათეულ ათას ადამიანზე საუბრობთ?**

— რამდენიმე ათეული ათასი ადამიანი იქ სულ არ ცხოვრობს: 10-12 ათასი ადამიანი მოდის ჩოხატაურში და ლანჩხუთში არჩევნებზე და დაახლოებით ორჯერ მეტი — ოზურგეთში, უფრო სწორად ფორმდება, რომ არჩევნებზე მოდის, თორემ ამდენი იქ არ არის. მასშტაბურობის თვალსაზრისით, მოსახლეობის რაოდენობის პროპორციების გათვალისწინებით, ოზურგეთის აქცია თითით საჩვენებელი დემონსტრაცია იქნება. გურიაში 2008 წელს სააკაშვილის წინააღმდეგ, ოფიციალური მონაცემებითაც კი, ხმა ამომრჩევლების 61-მა პროცენტმა მისცა. გურია ლიდერი ოპოზიციური კუთხეა საქართველოში და ეს მას არაერთხელ დაუმტკიცებია.

**— 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე რა შედეგებს ელით გურიაში?**

— კიდევ უფრო დიდი იქნება ჩვენი უპირატესობა მმართველ გუნდთან მიმართებაში მთელ ქვეყანაში და მათ შორის გურიაშიც.

### პრესკონფერენცია

# „ქართული ოცნება" ჯარიმის გადახდას არ აპირებს



**„ქართული ოცნების" წარმომადგენელმა ეკა ბესელიამ For.ge-ს პრესკლუბში გამართა პრესკონფერენცია თემაზე „აბსურდული უპრეცედენტო ჯარიმები".**

საჯარიმო სახდელი, რომელიც „ქართული ოცნების" ლიდერს ბიძინა ივანიშვილს დააკისრეს, „წინასაარჩევნოდ მოსახლეობის მოსყიდვის გამო", შეადგენს 126 მილიონ ლარს, ჯარიმის გადახდის ვადა კი 7 სამუშაო დღეა. თუმცა ეკა ბესელიას განცხადებით, ისინი არ აპირებენ ამ თანხის გადახდას, ყველა სამართლებრივი ბერკეტის დაცვით. კოალიცია „ქართული ოცნების" სტრატეგია არაკონტროლირებადი ხელისუფლების მიმართ „არის მხოლოდ სიმშვიდის შენარჩუნება და სამართლებრივი ნორმების დაცვით ადეკვატურად მოქმედება".

ჟურნალისტის შეკითხვაზე, არის თუ არა რაიმე სიახლე ბიძინა ივანიშვილის მოქალაქეობის აღდგენასთან დაკავშირებით, ბესელიამ განაცხადა: „მოლოდინი სასამართლოს სამართლიანობისა არ გვაქვს, თუმცა ჩვენ სააპელაციო სასამართლოს ველოდებით, რომ მათივე უკანონო განაჩენი შეცვალონ და გონიერი ნაბიჯი გადადგან"!...

**სოფიო გაბისონია**

### ინფორმაცია

## თითქმის ბოლო ადგილზე გავედით

**გლობალური მშვიდობის რეიტინგში საქართველო 141-ე ადგილზეა. კვლევა ორგანიზაცია „კაცობრიობის ხედვამ" ჩაატარა.**

**რუსეთი კვლევაში 153-ე ადგილზეა. სომხეთი რეიტინგში 115-ეა; 130-ეა თურქეთი, ხოლო აზერბაიჯანი — 132-ე.**

**კვლევის მიხედვით, რეიტინგის სათავეშია დანია, ხოლო უკანასკნელ, 158-ე ადგილზეა — სომალი.**

**რეიტინგი რამდენიმე კრიტერიუმის მიხედვით შედგა. ეს კრიტერიუმებია: საზოგადოებაში კრიმინალის აღქმა; მკვლელობები; დაკავებული მოსახლეობა; იარაღის ხელმისაწვდომობა; ორგანიზებული შიდა კონფლიქტი; ძალადობრივი დემონსტრაციები; ძალადობრივი კრიმინალი; პოლიტიკური არასტაბილურობა; პოლიტიკური ტერორი; იარაღის იმპორტი; ტერორისტული აქტები; შიდა კონფლიქტის შედეგად სიკვდილიანობა; სამხედრო დანაკარგი; შეიარაღებული ძალების პერსონალი; გაეროს სამშვიდობოების დაფინანსება; მძიმე იარაღი; სამხედრო შესაძლებლობა; იძულებით გადაადგილებული მოსახლეობა; მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობა; ბრძოლა კონფლიქტებსა და გარეკონფლიქტების შედეგად სიკვდილიანობა.**

## საქართველოში ჩამოსვლას ვერ შეძლებენ

**მომავალ საპარლამენტო არჩევნებისთვის რუსი დამკვირვებლები საქართველოში ჩამოსვლას ვერ შეძლებენ. საერთაშორისო დამკვირვებელთა შერჩევის ახალი კრიტერიუმებს „საარჩევნო კოდექსში" ცვლილებების პროექტი ითვალისწინებს, რომელიც მეორე მოსმენით უახლოეს სხდომაზე იქნება განხილული.**

**კანონპროექტის მიხედვით, იმისთვის, რომ სახელმწიფომ ან ორგანიზაციამ საქართველოში დამკვირვებლების გამოგზავნა შეძლოს, საქართველოს კანონმდებლობას, სუვერენიტეტს და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ნორმების მიმართ პატივისცემას უნდა გამოხატავდნენ. ასევე, საერთაშორისო დამკვირვებლებს საარჩევნო პროცესის ხელშეშლისგან თავის შეკავება მოეთხოვებათ.**

**როგორც იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, შესაძლოა, რუსეთს საქართველოში დამკვირვებლების გამოგზავნის და ვითარების არევის სურვილი გასჩენოდა.**

ინტერპრესნიუსი

### კორუფცია

# სად არის სიმართლე და რა ხდება ჩვენს თავს?

## საქართველო აშშ-სთან ვაჭრობის მნიშვნელოვან ნაწილს მალავს

**სასტუმრო „თბილისი მარიოტში" გუშინ გამართული კონფერენციის ფარგლებში გამოქვეყნდა მონაცემები, თუ რა შემოსავლებს მალავს საქართველო აშშ-სთან საგარეო ვაჭრობაში. ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, ეკონომიკის საკითხებში დამოუკიდებელმა ექსპერტმა შალვა მექვაბიშვილმა წარმოადგინა კვლევა, რომელშიც ასახულია საქართველო — აშშ-ს შორის საგარეო ვაჭრობის მონაცემებში არსებული განსხვავებები, რისი მიხედვითაც საქართველოს სავაჭრო ბრუნვის მნიშვნელოვანი ნაწილი „ჩრდილში" ექცევა და სახელმწიფო მნიშვნელოვან შემოსავლებს კარგავს.**

შალვა მექვაბიშვილი ამ თემით სრულიად შემთხვევით დაინტერესებულა, როცა მკვლევარ თომას დე ვალის სტატიას გასცნობია, პრეზიდენტ სააკაშვილის ამერიკაში ვიზიტის თაობაზე. მისი ყურადღება ავტორის მიერ მოყვანილმა ციფრებმა მიიპყრო.

შალვა მექვაბიშვილმა კვლევა აშშ-ის სახელმწიფო აღწერის ბიუროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და „საქსტატის" მონაცემებზე დაყრდნობით წარმოადგინა.

ავტორის შედარებებით 2004 წელს აშშ-ს და საქართველოს შორის საგარეო ვაჭრობაში, აშშ-ის მონაცემებთან შედარებით, ჩრდილში იყო მოქცეული მთლიანი საგარეო ბრუნვის 56,7 პროცენტი, 2005 წელს — 57,5 პროცენტი; 2006 წელს — 49 პროცენტი, 2007 წელს — 38,8 პროცენტი, 2008 წელს — 42 პროცენტი; 2009 წელს — 38 პროცენტი, 2010 წელს — 27,2 პროცენტი, 2011 წელს — 45,5 პროცენტი, 2012 წლის იანვარ-მარტში — 46,5 პროცენტი.

ექსპერტმა კონფერენციაზე დეტალურად წარმოადგინა 2004-2011 წლის სავაჭრო ბრუნვის იმპორტის, ექსპორტისა და სავაჭრო სალდოს აშშ-სა და საქართველოს მონაცემები, რომელიც აშკარად იძლევა განგაშის საფუძველს.

აშშ-ის ექსპორტმა საქართველოში „ვარდების რევოლუციის" შემდგომ პერიოდში ამერიკის მონაცემებით 3008,7 მილიონი დოლარი შეადგინა. იმავე პერიოდში საქართველოს მონაცემებით აშშ-ის იმპორტმა საქართველოში 1 662,4 მილიონი დოლარი შეადგინა. საქართველოს მხარემ აღნუსხა 1 346,3 მლნ დოლარით ნაკლები, ანუ მთლიანი მონაცემების მხოლოდ 55,3 პროცენტი. სახელმწიფო ბიუჯეტმა ამ პერიოდში მარტო გადასახადების სახით მინიმუმ მილიარდი ლარი აშშ-დან შემოსული სხვადასხვა საქონლის განუბაჟებლობის (ანუ კონტრაბანდის) ან, ნაკლებ ღირებულებადი განბაჟების გამო. ექსპერტის თქმით, შესაძლოა, ამ საქონლის ნაწილი, რეექსპორტის სახით განუბაჟებლად გავიდა საქართველოდან, მაგრამ თუ პრაქტიკას დავეყრდნობით, რეექსპორტის წილი იმ შემთხვევაში, როცა თავიდანვე საქონლის რეალიზება საქართველოში იყო დაგეგმილი, ძალიან მცირეა და მნიშვნელოვან გავლენას ვერ მოახდენდა, — განაცხადა შალვა მექვაბიშვილმა. მისი თქმით, მონაცემთა შორის სხვაობა „ვარდების რევოლუციამდეც" არის მაგრამ უმნიშვნელო 5-10-15 პროცენტით.

კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო ხუთი პროდუქტის: ხორცის, ნავთობპროდუქტების, თევზის, ალკოჰოლური სასმელების და ბრინჯის ექსპორტის ოფიციალური მონაცემები 2011 წლის მიხედვით.



აშშ-ის ოფიციალური მონაცემებით 2011 წ. საქართველოში ექსპორტირებული იყო 101,3 მლნ დოლარის ხორცი (მათ შორის ქათმის). ამ დროს, ფინანსთა სამინისტრო უჩვენებს 33,9 მილიონი დოლარის ხორცის შემოტანას, ანუ 66,5 პროცენტი კონტრაბანდულად შემოვიდა. ქვეყნის ბიუჯეტს მარტო საბაჟოს კუთხით ამ ოპერაციებიდან დღგ-ის სახით მინიმუმ 12 მლნ დოლარი დააკლდა.

აშშ-დან 56 685 ათასი დოლარის სხვადასხვა სახის ნავთობპროდუქტია შემოსული. მხოლოდ 771 ათას დოლარის, ანუ 74-ჯერ ნაკლები. 2011 წელს აშშ-დან გამოგზავნილი ნავთობპროდუქტების 98,6 პროცენტი საქართველოში იმპორტად არ არის აღრიცხული.

აშშ-დან 5548 ათასი დოლარის თევზის ექსპორტი განხორციელდა, ქართული მხარე კი მხოლოდ 4965 ათას დოლარს უჩვენებს, ანუ 10,5 პროცენტით ნაკლებს.

4373 ათასი დოლარის ალკოჰოლური სასმელების (გარდა ღვინისა), ექსპორტია ნაჩვენები, ქართული მხარე 470,7 ათას დოლარს უჩენებს — 9-ჯერ ნაკლებს. ალკოჰოლური სასმელების 89,2 პროცენტი საქართველოში იმპორტად აღრიცხული არ არის.

ამერიკიდან 2 036 ათასი დოლარის ბრინჯია შემოტანილი, საქართველო კი 8-ჯერ ნაკლებს, 265,5 ათას დოლარს უჩვენებს, თანაც 87 პროცენტი იმპორტად აღრიცხული არ არის.

— ყოველივე ეს ჩრდილოვანი ეკონომიკისა და კორუფციის დიდ მასშტაბებზე მიუთითებს მის აღმოსაფხვრელად კი აუცილებელია ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლების პოლიტიკური ნება, საბიუჯეტო შემოსავლებისა და ხარჯების გამჭვირვალობა და მათზე უმკაცრესი კონტროლის დაწესება, განსაკუთრებით, საზოგადოების მხრიდან. საზოგადოებრივი კონტროლის დაწესებით სწორი საკადრო პოლიტიკის გატარება სტატისტიკური აღრიცხვისა და საგადასახადო შემოსავლების გამჭვირვალობა და საგადასახადო კოდექსში მონაცემთა საიდუმლოების გაუქმება, ეკონომიკის ყველა სექტორის დემონოპოლიზება.

ქვეყნის ბიუჯეტმა იმპორტის სახით — 518 მილიონი დოლარი ექსპორტის სახით კი მილიარდი ლარი დაკარგა, — განაცხადა შალვა მექვაბიშვილმა.

**კონფერენციას ესწრებოდნენ ექსპერტები, რომლებიც შეშფოთებას ვერ მალავდნენ. შეხვედრაზე გამოითქვა ეჭვი, რომ თეორიულად შესაძლებელია საქართველო არაფერ შუაში იყოს ამ მონაცემებთან და საქმე გვქონდეს ფალსიფიკაციასთან, მაგრამ აუცილებლად მიიჩნიეს საგამოძიებო პროცესის წამოწყება და ორი ქვეყნის თანამშრომლობა, რადგან ცთომილება რიცხვებს შორის ძალიან დიდია. კონფერენციის სტუმარმა, საქართველოში აშშ-ის საელჩოს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საქმის კურსში აუცილებლად ჩააყენებს ამერიკის ხელისუფლებას.**

**გულნაზ გახარია**

**თავისუფლების მოედანზე ჩატარებული მიტინგი, რომელიც კოალიცია „ქართული ოცნების“ ეგიდით გაიმართა, უდავოდ ერთ-ერთი უდიდესი იყო ბოლო წლების საპროტესტო აქციებს შორის. მასში მონაწილეთა რაოდენობა, სხვადასხვა შეფასებებით, 80-100 ათასის ფარგლებში მერყეობდა. ეს ნამდვილად შთამბეჭდავი რიცხვია მილიონიანი ქალაქისთვის, თუმცა მომიტინგეთა შორის სხვა ქალაქებიდან ჩამოსულნიც იყვნენ (განსაკუთრებით — ბიძინა ივანიშვილის მშობლიური რაიონიდან).**

თუმცა ბოლო წლების საპროტესტო აქციებისგან განსხვავებით, ეს მიტინგი მხოლოდ წინასაარჩევნო შეკრებას ისახავდა მიზნად, ანუ ხელისუფლებისთვის, ფაქტობრივად, არანაირი მოთხოვნები არ წაუყენებიათ, მით უმეტეს — რადიკალური. ამის გამო, არსებული ხელისუფლება, ძირითადად, მშვიდად შეხვდა ამ ღონისძიებას და მომიტინგეთა შეკრებისთვის რაიმე სერიოზული წინააღმდეგობა არ გაუწევია. თითქმის არ ყოფილა არც უკვე ტრადიციულად ქცეული გზების და მაგისტრალების გადაკეტვა იმათთვის, ვინც რაიონებიდან აპირებდა ჩამოსვლას, არც აქტივისტების წინასწარ დაპატიმრება და დაშინება, ცემა და სხვა მსგავსი ფაქტები, რაც უხვად იყო წინა წლებში, მაგალითად, 2011 წლის მაისში, როცა სახალხო კრება ემზადებოდა მასობრივი აქციების გასამართად.

დღეისთვის, ბიძინა ივანიშვილის ირგვლივ შეკრებილი კოალიცია საკმაოდ კარგ პირობებში აღმოჩნდა იმისთვის, რომ გარკვეული კონკურენცია გაუწიოს „ნაციონალური მოძრაობის“ მრავალწლიან მონოპოლიას ძალაუფლებაზე. ივანიშვილი „ჩაჯდა“ საერთაშორისო კონიუნქტურაში, აამუშავა რიტორიკა, რომელიც არათუ ეწინააღმდეგება ამჟამინდელი ხელისუფლების რიტორიკას, არამედ ზოგჯერ უფრო პროდასავლური და საქართველოს „მეგობრების“ მიმართ მაამებლურიც კი არის. ამის შედეგად, დასავლეთის ქვეყნების ელჩები რეგულარულად სტუმრობენ ივანიშვილთან, ტკბილად საუბრობენ და დახმარებასაც ჰპირდებიან არჩევნების „სამართლიანად“ ჩატარებაში.

ამას დავუმატოთ ივანიშვილის მატერიალური შესაძლებლობები, მასზე მომუშავე რამდენიმე მედიასაშუალების არსებობა („მაესტრო“, „მე-9 არხი“ და სხვაძ და აღმოჩნდება, რომ არაფერი წარმოუდგენელი 27 მაისს არ მომხდარა. ბევრად უფრო მძიმე სიტუაციებში, ფულადი რესურსების თითქმის არარსებობის პირობებში, ოპოზიცია ახერხებდა თბილისში ათეულობით ათასი ადამიანის გამოყვანას, თანაც არა უბრალოდ გამოყვანას, არამედ მათ შეკრებას რადიკალური მოთხოვნების ლოზუნგით. მაგალითად, 2009 წელს, 2011 წლის მაისში, როცა იმავე თავისუფლების მოედანზე 30 ათასზე მეტი ადამიანი შეიკრიბა „სახალხო კრების“ დაძახებაზე.

თავად ხელისუფლებამ, თავისი დანაშაულობებით და შეცდომებით, დიდად შეუწყო ხელი 27 მაისის მიტინგის ჩატარებას და ამგვარ მასშტაბს. ერთ-ერთი ასეთი დანაშაული, უდავოდ, იყო 2011 წლის 26 მაისის დარბევა, რომელსაც რამდენიმე ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. სხვათა შორის, იმ დარბევის მეორე დღეს, თბილისში, სტიქიურად გაიმართა საპროტესტო მანიფესტაცია. მასში რამდენიმე ათასი ადამიანი მონაწილეობდა, პოლიტიკური სიმპათიების მიუხედავად. ეჭვი არაა, რომ თბილისის მოსახლეობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა, წლევანდელი 27 მაისის მიტინგში მონაწილეობით, ერთგვარი პროტესტი გამოხატა ხელისუფლების მიმართ შარშანდელი მოვლენების გამოც.

# კონფრონტაცია კი არა, თანამშრომლობა-კოორდინაცია!

## შეასრულებს 27 მაისის აქცია თავის დანიშნულებას?



სამწუხაროდ, 2011 წელს ქართული ოპოზიცია არ აღმოჩნდა მზად ერთად დგომისთვის. ოპოზიციის ნაწილი ჯერ შეუერთდა წარმომადგენლობით „სახალხო კრებას“ და ამა თუ იმ ფორმით ჩაერთო მის მუშაობაში, შემდეგ კი მოულოდნელად შეაჩერა საკუთარი წევრობა და განზე გადგა. ამან საშუალება მისცა ხელისუფლებას, გაცილებით იოლად მიეღო გადაწყვეტილება მიტინგის დარბევის შესახებ. ამისთვის მარტო აშშ-ის ელჩის წამქეზებლური განცხადებები არ იქნებოდა საკმარისი, რადგან ჯერ კიდევ არ წაშლილა მოსახლეობის მეხსიერებიდან 2007 წლის 7 ნოემბრის მოვლენები და მისგან გამოწვეული პოლიტიკური კრიზისი.

უფრო მეტიც, ოპოზიციის თუ ფსევდოოპოზიციის გარკვეულმა წარმომადგენლებმა ნინო ბურჯანაძის, სახალხო კრების და მისი მომხრე მოსახლეობის კრიტიკა დაიწყეს და ფარისევლურად აბრალებდნენ მათ „უაზრო მსხვერპლის“ პროვოცირებას. თუმცა შემდეგ თავადვე დაიწყეს ამ თემით აპელირება და მისი სათავისოდ გამოყენება. გამოდის, რომ ხელისუფლებაც და ოპოზიციის გარკვეული ნაწილიც დაინტერესებული იყვნენ „მსხვერპლშეწირვაში“ — პირველი იმიტომ, რომ შიშის სინდრომი დაეთესა მოსახლეობაში და თავისი ბოლმა გადმოეფრქვია ხალხზე, ხოლო მეორე მხრივ ეცადა ოპოზიციური „კონკურენტის“ კრიტიკით და დაღუპულებზე სპეკულაციებით დაეწერა პოლიტიკური ქულები.

ეს ყველაფერი ბადებს გარკვეულ ეჭვებს — **ხომ არ არის ამ ეტაპზე კოალიცია „ქართული ოცნების“ პროგრამა-მაქსიმუმი არა საკონსტიტუციო უმრავლესობით მოსვლა პარლამენტში, არამედ რეალური გათვლა ე.წ. საპატიო მეორე ადგილზე?** ეს მეორე ადგილი კი, შემდეგ შესაძლოა გამოცხადდეს ერთადერთ „საპრიზო“ ადგილად, ანუ, ყველა დანარჩენ ოპოზიციურ ძალას გამოეტანოს განაჩენი, რომ ისინი ზედმეტნი არიან პოლიტიკურ ასპარეზზე და უნდა შეწყვიტონ არსებობა. თავად ივანიშვილის სიტყვები, რომლებიც მან თქვა პოლიტიკაში შემოსვლისას, იძლევა ამ ეჭვის ერთგვარ საფუძველს — ბატონი ბიძინა საუბრობდა „ორპოლუსიან“ სისტემაზე, იმაზე, რომ „შუა უნდა გაიკრიფოს“.

ბოლო დროს, ივანიშვილმა გადადგა გარკვეული სიმბოლური ნაბიჯი — მივიდა სამების საკათედრო ტაძარში, სადაც ტარდებოდა 26 მაისს დაღუპულთა სულის მოსახსენიებელი პარაკლისი და ნინო ბურჯანაძესაც გაესაუბრა. ამან შეკრებილთა ტაშიც კი დაიმსახურა, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ საზოგადოების ოპოზიციურად განწყობილი ნაწილი ოპოზიციური ძალების ერთიანობის და მათ შორის კოორდინაციის მომხრეა. თავის მხრივ, „სახალხო კრების“ ლიდერებმა გამოაცხადეს, რომ უერთდებიან 27 მაისის მიტინგის მსვლელობას და მონაწილეობას მიიღებენ მასში.

არსებობს იმის საფრთხე, რომ კოალიციის ტაქტიკამ, რომელიც ჯერჯერობით უფრო მიმართული იყო ოპოზიციური კონკურენტების ჩაძირვისკენ, არ მისცეს მას საშუალება, დაამარცხოს არსებული რეჟიმი მის მიერ არჩეული მეთოდებით.მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმას, რაოდენ არათანაბარ პირობებში ტარდება არჩევნები ნაცმოძრაობის მმართველობის პირობებში. ჯერჯერობით, ბ-ნი ივანიშვილის კოალიცია არ აკონკრეტებს, თუ რას მოიმოქმედებს იმ სიტუაციაში, თუკი გოგორიშვილ-მაჭავარიანები მაინც მოახერხებენ არჩევნების გაყალბებას, ხოლო ძალოვანი სტრუქტურები — მოსახლეობის ნაწილის დაშინებას. ხომ არ განმეორდება 2010 წლის ადგილობრივი არჩევნების სიტუაცია, როცა საწერ-კალმებით შეიარაღებული ე.წ. ციცო დეიდები მშვიდად ითვლიდნენ საარჩევნო უბნების ეზოში შემოსულ „თავიან“ ამომრჩეველს, ხოლო მთავარმა ოპოზიციურმა კანდიდატმა (რომელიც ამჟამად ბ. ივანიშვილის კოალიციაში მოღვაწეობსძ სასწრაფოდ მიულოცა გამარჯვება ბ-ნ უგულავას?

ძნელია იმის გადაჭრით მტკიცება, რომ ამჯერადაც ეს არასასურველი (მოსახლეობისთვისძ სცენარი განმეორდება, მაგრამ საფრთხე რეალურად არსებობს. ამან კი შეიძლება გამოიწვიოს ნაციონალური მოძრაობის პოზიციების მოულოდნელი და კიდევ უფრო განმტკიცება არჩევნების შემდეგ. ამ შემთხვევაში, ისინი გააჩაღებენ პროპაგანდას, რომ არჩევნებმა „არნახული დემოკრატიის“ პირობებში ჩაიარა, მასში მონაწილეობდა თვით ბიძინა ივანიშვილი, რომელიც საქართველოს მოქალაქეც კი არ არის, მაგრამ „დემოკრატიულმა“ ხელისუფლებამ „სულგრძელად“ მისცა მას კენჭისყრის საშუალება, რომ „რუსეთის მიერ მოგზავნილმა ოლიგარქმა“ უამრავი ფული დახარჯა ხელისუფლების დასამარცხებლად, მაგრამ იმდენად ძლიერია ხალხის სიყვარული „მიშას“ მიმართ, რომ „რუსულმა მილიარდებმაც“ კი ვერ აცდუნა ის და ა.შ.

**ჩვენი აზრით, მოვლენათა ამგვარი განვითარების შანსები რომ შემცირდეს, ბ-ნი ივანიშვილის კოალიციამ უნდა ითანამშრომლოს სხვა, თუნდაც იდეოლოგიური შეხედულებებით განსხვავებულ, ოპოზიციურ ძალებთან და შეიმუშავოს არა რეალური ოპოზიციის შიგნით კონფრონტაციაზე აწყობილი სტრატეგია, არამედ მათთან თანამშრომლობის და კოორდინაციის მიმართულებები.**

**გიორგი ვეკუა,**
პოლიტოლოგი

## კრედიტი

# გავიქცეთ „პირველი“ ათეულიდან!

**მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეკონომიკის აღმავლობის თაობაზე გამუდმებით გვესმის, რეალურად წარმატებული რამდენიმე სფეროა, რომელთაგან გამორჩეული (მიზეზთა გამო) მაინც საბანკო სეგმენტია, რასაც სტატისტიკური მონაცემებიც მოწმობს.**

კერძოდ, შარშან საბანკო სექტორის მთლიანმა მოგებამ 325 მილიონ ლარს გადააჭარბა, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია ბოლო წლების მანძილზე. ციფრი, თავისთავად, იქნებ ძალიან შთამბეჭდავი არ არის, მაგრამ სხვა მაჩვენებელთა ფონზე და ეკონომიკური კრიზისის მომდევნო ფინანსური შოკების გათვალისწინებით, თანაც ზრდის მყარი ტენდენციის პირობებში, უდავოდ მნიშვნელოვანი მიღწევაა. სხვა საკითხია, თუ რა არის ამ წარმატების განმაპირობებელი ფაქტორი და ამის შეფასებაში ექსპერტთა აზრთა სხვადასხვაობაა. საქმე ისაა, რომ ზოგიერთის აზრით, მიღწეული წარმატება ჩვენს საბანკო სისტემაში ინოვაციების გონივრულად მიწოდების შედეგია, სხვები კი ამას კრედიტების სიძვირით, ანუ მათზე მაღალი და დეპოზიტებზე დაბალი საპროცენტო განაკვეთებით, მათ შორის მნიშვნელოვანი განსხვავებით ხსნიან. თუ რაოდენ მომგებიანია კომპანიებისთვის დეპოზიტებზე დაბალი საპროცენტო განაკვეთები, რომელთა რეკლამირებას რიგით ყოველ, ვთქვათ, მეათე მეანაბრეზე თითო-ოროლა პროცენტის წამატებით აკეთებენ, ორი ციფრი მოწმობს: **შარშან სესხებიდან მიღებულმა შემოსავალმა მილიარდ 200 მილიონ ლარს გადააჭარბა, დეპოზიტების მომსახურება კი (სხვა სიტყვებით, პროცენტულმა განაკვეთმა) 391 მილიონი ლარი!** სესხებზე მაღალ და დეპოზიტებზე დაბალ საშუალოშეწონილ საპროცენტო განაკვეთებს შორის სხვაობის მაჩვენებლით, რომელიც 15 პროცენტია, საქართველოს მსოფლიოში მე-10 ადგილი უკავია და ეს გარემოება ეროვნული ეკონომიკის განვითარებას ხელს არანაირად არ უწყობს.

ცხადია, ძვირი კრედიტი ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი მუხრუჭია, თუმცა კი კომერციული ბანკების წარმომადგენლები, რომლებიც ამავე დროს გრძელვადიანი სესხების გაცემას მაქსიმალურად ერიდებიან, ამას მაღალი რისკებით ხსნიან, რომლებიც, ვთქვათ, სოფლის მეურნეობაში არსებობს. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ იმავე სოფლის მეურნეობაში მაღალი რისკებია ასევე სხვა ქვეყნებშიც, კონიუნქტურისა და ბაზრის ფასთა მერყეობა იქაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, მაგრამ ფულადი სახსრები ასე ძვირი მაინც არ ღირს, თანაც შეუდარებლად უფრო ადვილად ხელმისაწვდომია.

ადრეც არაერთხელ აღგვინიშნავს, რომ საქართველოში ადგილობრივი საბანკო რესურსების ლომის წილი საყოფაცხოვრებო და წვრილი მეწარმეობის მიზნებისთვის გაიცემა. ეს კრედიტები, ცხადია, მოკლევადიანიცაა და ბანკებისთვის მინიმალურად სარისკო. სწორედ კრედიტების სიძვირეა იმის მიზეზიც, რომ ქართული კომერციული ბანკების კრედიტებს ადგილობრივი კომპანიების ნახევარზე ნაკლები მოიხმარს.

**ეროვნული ეკონომიკის განვითარებისთვის ისეთი მეტად მნიშვნელოვანი მაჩვენებლით, როგორიცაა საბანკო კრედიტის სიძვირე, საქართველო მსოფლიოში მე-8 ადგილზეა** — ჩვენში იგი საშუალოდ 24,2 პროცენტია. პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებიდან საქართველოზე ძვირი საბანკო კრედიტები მხოლოდ ყირგიზეთშია, სადაც მსესხებელს ისინი 31 პროცენტზე მეტი უჯდება.

ეს და ზემოთ მოყვანილი კიდევ ერთი მაჩვენებელი, რომლის მიხედვით საქართველო ასევე მსოფლიოში პირველ ათეულშია, თავად კომპანიების გარდა, ვერაფერი კეთილდღეობის მომტანი ვერაა ეკონომიკისთვის. ამდენად, რაც უფრო მოკლე დროში გადავინაცვლებთ ამ ნუსხების ბოლო ადგილებზე, მით უკეთესი იქნება ქვეყნისთვის.

ბუნებრივია, რომ ეკონომიკის განვითარების მთავარი მამოძრავებელი ძალის — ფინანსების სიძვირისა და, მაშასადამე, ნაკლებად მისაწვდომობის გამო, ზრდის ტემპი გაცილებით ჩამორჩება პოტენციალურ შესაძლებლობებს. ამის შედეგადაა სწორედ, რომ იმის მაგივრად, რომ საბანკო სექტორი მაქსიმალურად იყოს ორიენტირებული სამრეწველო შესაძლებლობათა ეფექტიანად განვითარებაზე, იგი, ფაქტობრივად, მის ხარჯზე ილებს დივიდენდებს.

თუ რა შედეგს იმკის ჩვენი ეკონომიკა შექმნილი ვითარების პირობებში, თვალნათლივ ჩანს, ამდენად მას აუცილებლად გამოსწორება, ანუ კრედიტების ფასების მსესხებელთა რეალურ შესაძლებლობებთან და, გნებავთ, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარეც, შესაბამისობაში მოყვანაა საჭირო, მაგრამ ამის გაკეთებას, ჯერჯერობით მაინც, არავინ ჩქარობს.

**ოთარ ტურაბელიძე**

ერთობა ჩვენი ხსნაა

# „სახალხო კრების“ რთული არჩევანი

**ბიძინა ივანიშვილი მზადაა „სახალხო კრების“ ცნობილი სახეების — ნონა გაფრინდაშვილის, ლუკა კურტანიძის, სოსო ჯაჭვლიანის სანაცვლოდ, „ქართულმა ოცნებამ“ საკუთარი მაჟორიტარობის კანდიდატები მოხსნას რეგიონებში და ამ ადამიანებს არჩევნებში წარმატების მისაღწევად დაეხმაროს.**

პოლიტიკაში ბიძინა ივანიშვილის გამოჩენის შემდეგ იმთავითვე ცნობილი იყო, რომ იგი უაღრესად დიდ პატივს სცემდა „სახალხო კრების“ ამ გამორჩეულ სახეებს. მეტიც, თუ ივანიშვილს დავესესხებით, „სახალხო კრებაში“ ღირსეული ადამიანები არიან, რომელთა წინაშეც იგი ქედს იხრიდა და ამ ადამიანებს იგი ვერაფრით დაუკავშირებდა 26 მაისის ტრაგედიას, სადაც პოლიტიკოსებს (და არა „სახალხო კრების“ წევრებსძ მათზე დანდობილი ხალხის წინაშე საკუთარი პასუხისმგებლობა მართებდათ. ალბათ, ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი, რომ სამების საკათედრო ტაძარში შეკრებილ „სახალხო კრების“ წევრებს ბიძინა ივანიშვილმა, მეუღლესთან ერთად, პატივი მიაგო და გასული წლის 26 მაისს დაღუპულებისა და დაშავებულების პანაშვიდსა და პარაკლისს დაესწრო.

ტაძარში კიდევ ერთხელ გამოიკვეთა ბიძინა ივანიშვილის დიდი მოწიწება „სახალხო კრების“ ამ წევრების მიმართ, რომლებსაც იგი მიუახლოვდა და გადაკოცნა. სხვათაშორის, იქ დამსწრე ადამიანები აუცილებლად შენიშნავდნენ, რომ საპასუხო რეაქცია წამოვიდა „სახალხო კრების“ წევრების მხრიდანაც და ამ თვალსაზრისით, ლუკა კურტანიძესთან შეხვედრა იყო გამორჩეული. შემდეგ იყო 27 მაისი, „ქართული ოცნების“ აქცია, სადაც ბიძინა ივანიშვილს მხარდაჭერა გამოუცხადეს „სახალხო კრების“ წევრებმა, მათ შორის, ლუკა კურტანიძემ, რომელსაც, თანამოაზრეებთან ერთად, სწორედ მიტინგზე მიმავალს გადავაწყდით. ამას მოჰყვა ქუთაისის აქცია, რომელსაც „სახალხო კრების“ წევრები არ აკლდნენ. მოკლედ, ბიძინა ივანიშვილისა და ამ ადამიანების ურთიერთდამოკიდებულება მარტო ამ აქციებითაც გამოჩნდა. მეტიც, ბიძინა ივანიშვილმა იმერეთის რეგიონის მაჟორიტარების დასახელებისას „სახალხო კრების“ ყოფილი წევრი გოგი ქავთარაძე ზესტაფონის მაჟორიტარად განამწესა.

For.ge-სთან საუბარში „სახალხო კრების“ ერთ-ერთი ლიდერი **ნონა გაფრინდაშვილი** პოლიტიკაში გადანაცვლებას კატეგორიულად გამორიცხავს, თუმცა ამ შეთავაზების გამო ბიძინა ივანიშვილის მიმართ მადლიერებას გამოთქვამს.

**„არ ვაპირებ პოლიტიკაში წასვლას და მაჟორიტარობას, გამორიცხულია ეგ ამბავი, ამის შესახებ უამრავჯერ ვთქვი და უნდა დამიჯეროთ,“** — გვითხრა ნონა გაფრინდაშვილმა.

მიუხედავად იმისა, რომ „სახალხო კრების“ წევრები აპოლიტიკურობისკენ იხრებოდნენ, ჩვენ მაინც დავინტერესდით, იქნებ, ნონა გაფრინდაშვილი ამ კომპრომისზე წასულიყო?! თუმცა ნონა გაფრინდაშვილს ერთხელ უკვე ჩამოყალიბებული შეხედულება არ შეუცვლია.

მსახიობი და რეჟისორი **სოსო ჯაჭვლიანი For.ge**-სთან საუბარში ბიძინა ივანიშვილის შეთავაზებას უფრო გლობალურად უყურებს. მისი აზრით, **„სახალხო კრებას“ თავისი არსებობის მანძილზე და მას შემდეგაც, რაც 26 მაისს „უხერხემლოთა და უტიფართა რეჟიმმა“ საკუთარ ხალხს უბედურება დამართა, შესანიშნავი დეკლარაცია ჰქონდა, რაც ყველა მოვლენაზე პასუხის გამცემია.**

**როცა ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩნდა, მან აღნიშნა, რომ იგი იძულებული გახდა, რეჟიმს სხვადასხვა მიზეზის გამო დაპირისპირებოდა, განსაკუთრებით კი გამოყო 26 მაისი, რამაც პოლიტიკაში შესვლისკენ უბიძგა. „სახალხო კრების“ წევრებმა დავინახეთ, რომ ეს ადამიანი თავდადებულია. როცა დაინახავ, რომ ადამიანი შენთან დამოკიდებულებაში სწორად იქცევა, შენც სხვანაირად განეწყობი... პატრიარქმა ბრძანა, მე თვითონ ცოდვილი ვარო, ანუ, ჩვენ ანგელოზები არავინ ვართ, მაგრამ ჩვენ შანსი უნდა მივცეთ ერთმანეთს, თუ რაიმე შეცდომა გვაქვს, ქვეყანას თუ რაღაცაში წავადგებით, გამოვასწოროთ“,** — მიიჩნევს სოსო ჯაჭვლიანი.



მსახიობის თქმით, „სახალხო კრებას“ ყოველთვის მიაჩნდა, რომ დღეს არსებულ რეჟიმს ურთიერთობის არანაირი წესები არ გააჩნია, რომ მათ ხალხს კონსტიტუცია თავზე გადაახიეს. ამიტომ, თუ არ მოხდა ერთიანი ფრონტით მათ წინააღმდეგ შეტევა, სხვანაირად გამარჯვება ძნელად წარმოსადგენია. სოსო ჯაჭვლიანის თქმით, „სახალხო კრების“ წევრები არ მიილტვიან თანამდებობებისკენ, ან დეპუტატობის სიებისკენ, თუმცა, როცა ქვეყანა განსაცდელშია და ხალხი წელშია გატეხილი, უზნეო რეჟიმთან შერკინება, პოლიტიკური ხედვების მიუხედავად, უნდა მოხდეს.

**„დიდგორს მოიგებდა დავით აღმაშენებელი საქმის გარჩევა რომ დაეწყო?! არ მინდა, საქართველოს ისტორიიდან სხვა მაგალითებიც მოვიყვანო. ჩვენთვის უმთავრესია, ესენი მოვიშოროთ. ამისთვის ერთიანობაა საჭირო. ხომ უყურებთ, როგორ კანონებს იღებენ?! ფაქტობრივად, ადამიანი განწირულია. აღარ მოვყვები ამათ დანაშაულებზე საუბარს“.**

Forge-ს შეკითხვაზე, საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, სვანეთის მაჟორიტარობას ხომ არ აირჩევს, სოსო ჯაჭვლიანმა ხუმრობით გვიპასუხა:

**„ცოტა იუმორით შევხედოთ, „დავახრჩობ დედას, თავს მოვჭრი მამას, რევოლუცია თუ მომთხოვს ამას“. რა თქმა უნდა, ვხუმრობ, ამას თავისი წესი აქვს. მართალია, საუბარია ისეთ დიდ ადამიანებზე, როგორებიც ქალბატონი ნონა და ლუკა არიან, მაგრამ ამ საკითხის გადაწყვეტა აზრთა შეჯერებით და რეალობის გათვალისწინებით წარმომიდგენია. თუ მე წავადგები ქვეყანას, რაზეა საუბარი?! სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძლებ. არ დავიწყებ ახლა „ბიძინა-ბიძინას“ ძახილს, მაგრამ რაც დრო გავა, ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა. ამ კაცს აქვს უზარმაზარი ავტორიტეტი და ამ ოცი წლის განმავლობაში აკეთებდა იმას, რომ ქართველი ხალხის დიდი ნაწილი შიმშილისა და უბედურებისგან გადაერჩინა“.**

სოსო ჯაჭვლიანის აზრით, 26 მაისის შემდეგ დასადგურებული ნიჰილიზმი და ხალხის უიმედობა, რომ ძალიან დიდი დრო დასჭირდებოდა ამ ყველაფრის გადაგორებას, ასეთი პიროვნების გამოჩენამ გადაფარა. ამდენად, მსახიობი და რეჟისორი მიიჩნევს, რომ ამ ყველაფერს უნდა გავუფრთხილდეთ. უმთავრესი კი სამშობლოა. ამიტომ, სოსო ჯაჭვლიანი ერთმანეთთან შეთანხმების მომხრეა, რათა, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, **„უტიფრები მოვაშოროთ და გავისტუმროთ პოლიტიკურ სანაგვეზე“.**

პოლიტოლოგ **რამაზ საყვარელიძეს** მიაჩნია, რომ ნონა გაფრინდაშვილის პოპულარობის შესახებ კითხვა საერთოდ არ უნდა დაისვას, რადგან იგი უდაოდ პოპულარული ადამიანია. თუმცა ბიძინა ივანიშვილის ამ გადაწყვეტილების მიღმა რამაზ საყვარელიძეს „სახალხო კრების“ წევრებთან კოორდინაციის სურვილი მიაჩნია.

**„აქ ადამიანებში არ არის მარტო საქმე. ამ ნაბიჯით ივანიშვილმა, ფაქტობრივად, გარკვეული პარტნიორობა გაუწია, უფრო სწორად, ამით იგი კოორდინაციაში შევა „სახალხო კრებასთან“ და რეალიზდება ის, რასაც ადრე ამბობდა, რომ, მართალია, ყველა პარტია ვერ იქნება პარტნიორი, მაგრამ, შეძლებისდაგვარად, ყველა ოპოზიციურ ძალასთან ეცდება, ჰქონდეს კოორდინაცია, განსაკუთრებით, მაჟორიტარულ კანდიდატებთან დაკავშირებით“.**

ექსპერტის აზრით, მთლიანი ოპოზიციის გაერთიანების მოთხოვნა „სახალხო კრების“ წევრების მხრიდან გარკვეულ ეტაპზე, მართალია, არსებობდა, მაგრამ მოგვიანებით ამ სურვილმა ცოტა სხვა სახე მიიღო და გადაწყდა, თუ გაერთიანება პრინციპულად ძნელია, კოორდინაცია მაინც იყოს, რათა ოპოზიციურმა ძალებმა ერთმანეთი არ დაასუსტოს.

**„აი, ასეთი ერთობის სურათი ნამდვილად არის, თუკი ის განხორციელდა. დათანხმდებიან თუ არა „სახალხო კრების“ წევრები მაჟორიტარობას, ეს მათი გადასაწყვეტია“,** — აღნიშნა რამაზ საყვარელიძემ.

**მანანა ნოზაძე**

სოციალური დახმარება

# კომპიუტერი შეიძლება, მაგრამ 20 წლის წინათ გამოშვებული მაცივარი - არა

**რუსთავის სოციალური მომსახურების ცენტრში უკმაყოფილო მოქალაქის ხილვა არავის უკვირს. ცენტრის ფოიეში, 10-15 წუთი, ჩვენი ყოფნის დროს, ერთმანეთის მიყოლებით სამი უკმაყოფილო ასაკოვანო მოქალაქე მოდის.**

**„81 000 ქულა დამიწერეს. ძველი სარეცხი მანქანის გარდა არაფერი მაქვს სახლში.**

**ვითხოვ, მაჩვენონ ის აგენტი, ვინც ჩემს სახლში იყო მოსული. მოვიდეს, თვალებში ჩამხედოს და მითხრას, რა ნახა ჩემს ოჯახში ძვირიანი და ღირებული?!“** — საუბრობს შუახნის მამაკაცი — **დავით გარეჯის ქუჩაზე ვცხოვრობ. მოვიდეს, ვისაც უნდა და ნახოს ჩემი სახლი. მე თუ არ მეკუთვნის დახმარება სახელმწიფოსგან, ვის ეკუთვნის აბა?“.**

უკმაყოფილო მოქალაქის კითხვა უპასუხოდ რჩება. მას ჩვენს გარდა არც არავინ უსმენს. თავის მხრივ, რუსულ ენაზე მოსაუბრე, ასევე, ასაკოვანი მოქალაქე ცენტრის ოპერატორს ქულების ხელმეორედ დათვლას სთხოვს.

**„არ არის სამართლიანი, როდესაც გამოითქმის პრეტენზიები აგენტების მიმართ. სოციალური მომსახურების ცენტრის აგენტებს აქვთ კონკრეტული კითხვარები, რომელიც უნდა შეივსოს. ყველაფერი გაწერილია კანონის თანახმად: რას უნდა მიაქციოს აგენტმა ყურადღება, რა კითხოს მოქალაქეს და როგორ უნდა შეივსოსო დახმარების მსურველის დეკლარაცია — ამას კანონი არეგულირებს. რაც შეეხება ქულებს, ამ შემთხვევაში ქულების დაანგარიშება ხდება სპეციალური ფორმულის და მეთოდოლოგიის მეშვეობით“,** — აცხადებს რუსთავის სოციალური მომსახურების ცენტრის მთავარი სპეციალისტი მანონ ღიბრაძე.

მეთოდოლოგიას, რომელზეც ქალბატონი მანონი საუბრობს, განსაზღვრავს 2010 წლის 30 მარტს მიღებული მთავრობის №93 დადგენილება: **„სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების შესახებ“.**

დადგენილებაში სიღარიბის დონის განსაზღვრა, მართლაც, სპეციალური ფორმულით ხდება. ფორმულა ადგენს ოჯახის „შიდა მეურნეობის კეთილდღეობის ინდექსს“. ვიგებთ, რომ აგენტები სოციალურად დაუცველთა ოჯახებში შემდეგი ნივთების არსებობასაც აკვირდებიან — არის თუ არა ოჯახში საპონი, შამპუნი, სარეცხი ფხვნილი, ეწევიან თუ არა ოჯახის წევრები ფილტრიან თამბაქოს. ამ უკანასკნელს დებულების მე-10 მუხლი აწესრიგებს.

**„ძალიან ბევრს არ სიამოვნებს კითხვა, ეწევიან, თუ არა თამბაქოს, მაგრამ ამის კითხვა სავალდებულოა. რაც შეეხება მანქანის ყოლას. აქ არ აქვს მნიშვნელობა, მანქანა რა მარკისაა. საუბარია უცხოურ ავტომობილზე. და, საერთოდ, რა მნიშვნელობა აქვს — მანქანა მანქანაა! ასევე იწერება მაცივარი და სარეცხი მანქანა, არც მათ შემთხვევაში აქვს მნიშვნელობა გამოშვების წელს“,** — გვიხსნის რუსთავის სოციალური მომსახურების ცენტრის მთავარი სპეციალისტი.

**ანუ გამოდის, რომ არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, მოქალაქეს 1997 წელს გამოშვებული „მოსკვა“ მაცივარი უდგას, თუ 1200-ლარიანი ახალი მოდელის. ასევე, არ აქვს მნიშვნელობა ოჯახს პატრონის ხათრით მოსიარულე „ოპელი“ ყავს, თუ სხვა ბევრად უფრო ძვირადღირებული მარკის ავტომობილი.**

ამ თემაზე ჩვენს არგუმენტებს ღიბრაძეც ნაწილობრივ ეთანხმება.

**„პრეზიდენტიც საუბრობდა იმაზე, რომ გარკვეული ცვლილებები არის საჭირო. სწორედ ამიტომ, 1 ივნისიდან ფორმულაში შემდეგი ნივთების ჩაწერა არ მოხდება. ესენია: მტვერსასრუტი, ტოსტერი, მუსიკალური ცენტრი, კომპიუტერი და ტელევიზორი. ჩაიწერება მხოლოდ, პლაზმური თხევადკრისტალური ტელევიზორი.**

**ზოგადად შემიძლია ვთქვა, რომ ფორმულა სულაც არ არის უგუნური რამ. მას თავისი სპეციალური, განსხვავებული ქულები აქვს განკუთვნილი მრავალშვილიანი ოჯახებისთვის, ასევე სხვადასხვა ჯგუფის ინვალიდებისთვის. მნიშვნელობა აქვს იმასაც, განმცხადებელი სად ცხოვრობს — დედაქალაქში თუ რაიონში. ყურადღება ექცევა ასევე ოჯახის კომუნალურ ხარჯებს. ჩვენ ყველას ვაფრთხილებთ, რომ ბუნებრივი აირის და ელექტროენერგიის 1 წლის განმავლობაში გადახდილი ქვითრები შეინახონ“,** — ამბობს ღიბრაძე.

მისი თქმით, მას ბევრჯერ ჰქონია შემთხვევა, როდესაც სოციალური დახმარების მსურველი ბუნებრივი აირის გადასახდში 20-30 ლარს იხდის. **„ბუნებრივად ჩნდება კითხვა — თუ არსად უწერია ეს თანხა შემოსავლებში, საიდან იხდის ამ გადასახადს? ამბობენ, რომ არანაირი შემოსავალი არ აქვთ და ოჯახში აგენტი ხედავს, რომ შაქარიცაა და პურიც. საიდან, თუ შემოსავალი არ არის? ხშირად ვიგებთ, რომ განმცხადებლებმა დამალეს ის, რომ ოჯახის ესა თუ ის წევრი დასაქმებულია, ან აქვთ რაიმე ქონება. ამ საკითხების გარკვევაში შსს გვეხმარება. ასევე ვთანამშრომლობთ სხვა ინსტაციებთან“,** — გვიყვება ღიბრაძე.

ერთის მხრივ სახელმწიფო ამბობს, რომ დახმარება უნდა მიიღოს კომპიუტერის მქონე მოქალაქემ, ხოლო მეორეს მხრივ, სოციალურად დაუცველ ოჯახებს ზამთარში, ყინვაში, ჩართული ბუნებრივი გაზის გამათბობლის დანახარჯებს უკონტროლებს, სოციალურ აგენტებს კი დახმარების მიღების მსურველთა ქვაბებში ჩახედვას ავალებს.

**მანონ ბოკუჩავა**

განსჯა

# „შეშფოთებები“, ანუ ორმაგი სტანდარტები

## მათში გარკვევის გზები

**„ყველაფერი შედარებითია“: ჭეშმარიტად! ამიტომ,ზედმეტია იმის მტკიცება, რომ მოვლენების არსში გასარკვევად აუცილებელია შედარებების გაკეთება, რომ მხოლოდ მათზე დაყრდნობითაა შესაძლებელი ობიექტური (შედარებით ობიექტური!) სურათის მიღება და, რომ ამ ამოსავალი წერტილის გარეშე ვერ შევაფასებთ ვერავის და ვერაფერს, თუნდაც მეგობარი სახელმწიფოების პოზიციას – მათი რეაქციის ადეკვატურობას და სამართლიანობას, დაკავებულს ამა თუ იმ ფაქტის ან პიროვნების მიმართ.**

**მაგრამ შედარებაც არის და შედარებაც! არ შეიძლება ვინმეს, და მით უფრო პოლიტიკოსს, დაუჯერო კაცმა, თუკი იგი მხოლოდ(!)„შეშფოთებებზე“ დაყრდნობით (თუ რა შეშფოთებებზე, ამის ახსნა ზედმეტია, ყველას კარგად მოეხსენება) გარწმუნებს, რომ ამერიკის პოზიცია საქართველოს ხელისუფლების მიმართ შეიცვალა, რომ ამიერიდან ამერიკა, თურმე, აღარ უჭერს მხარს საქართველოს ხელისუფლებას. როცა შენს ამომრჩეველს ცრუ იმედებით ამხნევებ და, იმავდროულად, არ აფასებ ამერიკის სრულიად განსხვავებულ რეაქციას სხვა სახელმწიფოებში მიმდინარე მსგავს მოვლენებზე (მსგავსს, თორემ საქართველოს მოვლენების იდენტურს აფრიკის ჯუნგლებშიც ვერ მივაკვლევთ!), ანუ არ აკეთებ არავითარ შედარებით ანალიზს და არ გამოგაქვს შესაბამისი დასკვნა, ცხადია, გაგიჭირდება ამომრჩევლის დარწმუნება და, მით უფრო, მისი სწორ გზაზე დაყენება.**

**ზოგადი მსჯელობა რომ არ გამომივიდეს, ფაქტებს მოვიშველიებ და შორსაც არ წავალ, ჩვენთვის კარგად ნაცნობ ბელორუს-უკრაინა-რუსეთში განვითარებულ მოვლენებს შევადარებ ჩვენთან დატრიალებულს.**

დავიწყოთ რუსეთით – შედარებით ახალი, მაისის დასაწყისში პუტინის საწინააღმდეგო საპროტესტო გამოსვლით, ე.წ. „მილიონთა მარშით“, რომელშიც რვა ათასიდან (შსს-



ს მონაცემებით) ოცი ათასამდე (როიტერის ცნობით) ადამიანი მონაწილეობდა. ეს ხდება 15-მილიონიან მოსკოვში, ამ მსვლელობას ფართოდ აშუქებს და „მილიონთა მარშად“ მოიხსენიებს დასავლეთიც! ეს იგივეა მილიონიან თბილისში ათასი კაცი (თუნდაც ათას ხუთასი!) რომ გამოვიდეს და მთელი დასავლეთის პრესა ალაპარაკდეს (100- და 200-ათასიანი მიტინგები იმართებოდა, ათობით ათასი კი ქუჩაში იდგა თვეების მანძილზე და არავის გავხსენებივართ). ახლა ამ „მარშის“ დაშლის (და არა – დარბევის!) თაობაზე – მოსკოვის პოლიციამ გამოიყენა მხოლოდ რეზინის ხელკეტები, დემონსტრანტებმა კი – ქვები, სამხედრო მაშხალები და ე.წ. „მოლოტოვის კოქტეილები“(!); და მაინც, მსვლელობის მონაწილეებიდან არავინ არ მოუკლავთ, არც ფეხქვეშ გაუგდიათ სასიკვდილოდ და არც ულრან ტყეში დაუგდიათ ღამით, ჩვენთან კი...

ბელორუსის დედაქალაქ მინსკში 2010 წლის დეკემბრის გამოსვლაც გავიხსენოთ (მოსკოვის ანალოგიური), როდესაც 5(!) ათასამდე კაცმა, არმატურებით შეიარაღებულმა, მთავრობის სახლის ფანჯრები ჩაამსხვრიეს, კარებიც შელეწეს და პოლიციას შიგნიდან მოუხდა ბარიკადების აღმართვა. არც იქ დაღუპულა არავინ და სისხლიც არავისთვის დაუდენიათ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ათასნაირი სალანძღავი ეპითეტით შეამკო დასავლეთმა ლუკაშენკო. ესეც არ აკმარეს და სანქციები დაუწესეს ორასზე მეტ სახელმწიფო მოხელეს, ლუკაშენკოს და მის ოჯახს (რამდენიმე წლის ვაჟიშვილის ჩათვლით!) – მათ ევროპის სახელმწიფოებში შესვლა აუკრძალეს; ევროპარლამენტის მაშინდელმა პრეზიდენტმა ეჟი ბუზეკმა კი ბელორუსის გარიცხვა მოითხოვა საერთაშორისო სპორტული შეჯიბრებებიდან (ოლიმპიადებიდან და მსოფლიო ჩემპიონატებიდან). და ამ სანქციებს უწესებენ იმ ქვეყანას და იმ პრეზიდენტს, რომელმაც ენერგორესურსების არმქონე(!) ქვეყანაში მხოლოდ თავისი სამრეწველო და სასოფლო პროდუქციის ხარჯზე მოახერხა ის, რაც ვერ შეძლო ვერავინ ყოფილ საბჭოთა სივრცეში – 2-3-ჯერ(!) დაბალი ფასები პროდუქტებზე და ყველაზე მაღალი ხელფასები (შედარებით სხვა ყოფილ რესპუბლიკებთან),სჯიან იმ პრეზიდენტს, რომელმაც ბელორუს ხალხს არ გაუყიდა არც მიწა-წყალი და არც სტრატეგიული ობიექტები, რომლის არჩევასაც მოსახლეობის 90 %-დან 80 %-მა დაუჭირა მხარი (ისეთ სისულელეს ხომ ვერავინ იტყვის, რომ ეს 90 % შიშმა მიიყვანა საარჩევნო ურნებთან და 80 % კიდევ ლუკაშენკოს სიძულვილმა აიძულა ხმა მიეცა მისთვის (ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ ბელორუსში არჩევნების შედეგები მხოლოდ მაშინ ითვლება ლეგიტიმურად, თუ ურნებთან 50 %-ზე მეტი ამომრჩეველი გამოცხადდება, და არა ისე, როგორც ჩვენთანაა – რამდენმაც არ უნდა მიიღოს მონაწილეობა, თუნდაც 10 %-მა, ეს არჩევნების ბოიკოტირებად არ ჩაითვლება!).

იხ. 7 გვ.




სარედაქციო ფოსტიდან

# ამ ე. წ. დადგმას „ქეთუკა და კოწიკა“ უფრო მოუხდებოდა...

ძვირფასო რედაქციავ!

როცა თქვენს გაზეთში დასტამბულ „ოვაციები ნოვაციებს“ გავეცანით, უცნაური, ურთიერთგამომრიცხავი, განწყობილება დაგვეუფლა: სიხარულისა და გულდაწყვეტის ერთდროულად. ჯერ გულდაწყვეტაზე მოგახსენებთ. ჩვენი ოჯახი ცნობილია როგორც თავგადაკლული მელომანებისა. განსაკუთრებულ პატივში გვყავს სწორედ კლასიკური მემკვიდრეობა და გული გვწყდება, რომ ახალი თაობა ამ განძს ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს. მიწაში დამარხული განძი ხომ უსარგებლო და უმაქნისია. მისასალმებელია, როცა კულტურული მემკვიდრეობა დღევანდელი შემოქმედებითი ელიტის ინტერესების არეალში მოექცევა და ახალი, თანამედროვე, ქღერადობით შემოგვთავაზეს. ჩვენი სიხარულის მიზეზიც სწორედ დოლიძის ოპერის განახლებულ-გათანამედროვებული დადგმა-ინტერპრეტაცია გახლავთ. რას წარმოიდგენდა კომპოზიტორი, მისი ყოვლად უპრეტენზიო კომიკური ოპერა, როგორც თქვენი გაზეთის პუბლიკაციაშია ხაზგასმული, ასეთ დრამატულ, უფრო მეტიც, ჭეშმარიტად ტრაგიკულ სიმაღლეებს დაიპყრობდა.

უდავოდ დასაფასებელია ავტორთა კოლექტივის შემართება. გვინდა გამოვასწოროთ თქვენი პუბლიკაციის ხარვეზი და განსაკუთრებული მადლიერებით აღვნიშნოთ ახალი დადგმის (უფრო მაბიძგებელი იქნებოდა გამოთქმა „ახალი ნაწარმოების“) სულისჩამდგმელთა ვინაობა: კომპოზიტორი ნიკა რაჭველი-მემანიშვილი და რეჟისორი დავით დოიაშვილი. მათ დიალაც დაიმსახურეს საზეიმოდ გადაცემული პრემია-ორდენები. ეს მათთვის მომავალი შემოქმედებითი აღმაფრენის მასტიმულირებელი იქნება, ხუმრობა საქმე ხომ არ არის: ჩვენი ეროვნული კულტურული ფონდი მისახედია, რაზეც მართებულად მიუთითებს პუბლიკაცია. ყურადღებას ნუ მიაქცევენ დროის მაჩანჩალა ზოგ-ზოგი მოშურნის ენამწარე კომენტარებს: ეს ერთადერთი ღირებული კომიკური ოპერა გვაბადია და ასე უდიერად მოპყრობა დაუშვებელიაო. ცოტა მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდონ რაიმე სპექტაკლში მონაწილეობის საკითხს ისეთი გამორჩეული ვარსკვლავ-მსახიობები, როგორებიც არიანო პაატა ბურჭულაძე, ნინო ანანიაშვილი, სოფო ნიჟარაძეო. ან რა აცვიათ და რა ახურავთო, სისინებენ. თვალი გაახილეთ, ბატონებო, ყურები გამოიფხიკეთ, მიიხედ-მოიხედეთ, ოცდამეერთე საუკუნეა! ის კი არა, ჩვენ რომ გვკითხოთ, უფრო მეტი გაბედულება და რისკი მართებდათ ავტორებს. შეიძლებოდა მოძველებული სახელწოდების ახლებურად აჟღერება: ვთქვათ, „ნანუკა და ზაზუკა“ ან უკიდურეს შემთხვევაში, „ქეთუკა და კოწიკა“. ფანტაზიას მეტი გასაქანი!



ერთი სიტყვით, ვუერთდებით თქვენი პუბლიკაციის პათოსს: ოვაციები ნოვაციებს, წინ, ახალი სიმაღლეებისკენ!

**თიკუნა და ვახუნა ბანძელაძეები**

# ჰილარი კლინტონის ვიზიტი ბათუმში



აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონის ბათუმში ვიზიტმა და მისმა პოლიტიკურმა განცხადებებმა ცხოველი ინტერესი გამოიწვია, როგორც საქართველოში, ისე მის საზღვრებს გარეთ. რბილი კრიტიკის ობიექტი ტრადიციული იყო – რუსეთი. ეს ქვეყანა დიდი ხანია, შეერთებული შტატების არათუ რბილ, არამედ მკაცრ კრიტიკას და ამდენად კლინტონის განცხადება, არათუ გამოწვევად უნდა მიეღო, მაგრამ ამჟერად ასე არ მოხდა.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენლის ლუკაშევიჩის პასუხი იყო ხისტი, 2008 წლის ომის წინა პერიოდში, საქართველოს შეიარაღების გაზრდისთვის ვაშინგტონის დაუღალავი შრომის გახსენებით, რამაც დაარწმუნა სააკაშვილი ავანტიურისტული ნაბიჯის გადადგმაში.

ლუკაშევიჩმა განაცხადა, რომ ვაშინგტონის პოზიცია საქართველოს სამხედრო იარაღით მომარაგების დარგში არის უპასუხისმგებლობა და საფრთხის ქვეშ აყენებს რეგიონის უსაფრთხოებას.

ლუკაშევიჩის განცხადებას უმალ მოჰყვა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური წარმომადგენლის პასუხი, დაახლოებით ასეთი ხასიათის – აშშ-ს და რუსეთს აქვთ სხვადასხვა საკითხში თანამშრომლობა, „გადატვირთვის“ პროცესიდან გამომდინარე, მაგრამ არის ისეთი საკითხები და მათ შორის საქართველოს, რომელშიც მათ აქვთ აზრთა სხვადასხვაობა, რომ აშშ არის საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი და ასეთად დარჩება, რომ აშშ მუდამ მოუწოდებს რუსეთს ოკუპირებული ტერიტორიებიდან ჯარების გაყვანისაკენ.

თუ ოდნავ ჩავუღრმავდებით ქალბატონი კლინტონის ბათუმში გაკეთებულ განცხადებებს, მათ შორის დიდ განსხვავებებს ვერ დავინახავთ, მაგრამ ზოგიერთის - უდავოდ. ის, რაც კლინტონმა ბრძანა რუსეთის მისამართით იყო ერთგვარი ბლეფური და აშშ-საქართველოს მხარეთა გაფართოებული შეხვედრის დროს, ანუ მეორეხარისხოვან არენაზე.

რაც შეეხება პირველხარისხოვანს – გამართულ სააკაშვილ-კლინტონის შეხვედრა-საუბრის შემდეგ (პრესკონფერენციაზეძ – მაღალ სტუმარს სიტყვაც არ დაუძრავს რუსეთის საწინააღმდეგოდ და არც საქართველოს ნატოში შეყვანაზე უთქვამს რამე დასამშვიდებელი, მიუხედავად იმისა, რომ ქართველი ჟურნალისტების, ცხადია ხელისუფალთა მიერ წინასწარ მომზადებულების, მხრიდან აშკარა გამოწვევას ჰქონდა ადგილი.

კლინტონმა დელიკატურად დაამშვიდა ქართველი ჟურნალისტი, რომელსაც ზომაზე მეტად „აშინებდა“ საპარლამენტო არჩევნების დროს, ჩრდილო კავკასიაში დანიშნული სამხედრო სწავლება. სტუმარმა ეს ორი საკითხი ვერაფრით დაუკავშირა ერთმანეთს, რითაც ძლიერ დაწყვიტა გული, როგორც ქართველ ჟურნალისტებს, ისე პოლიტიკოსებს, რომლებიც სისტემატურად ზაფრავენ საქართველოს მოსახლეობას რუსული სამხედრო მანევრებით და მოსალოდნელი ავანტიურით.

კლინტონმა არც საქართველოს პრეზიდენტს აწყენინა და არ ჩაერია უცხოელი ჟურნალისტის შეკითხვაში – გახდება თუ არა ის პრემიერ-მინისტრი. მოულოდნელმა კითხვამ იმდენად დააბნია სააკაშვილი, რომ ნაცვლად მოკლე პასუხისა, რასაც მასგან ითხოვდა ჟურნალისტი, მისთვის ჩვეული მონოლოგ-პასუხი შეაგება ე.წ. დეცენტრალიზებული „დემოკრატიის“ სახით, ანუ პარლამენტის ქუთაისში გადატანით და სხვა.

კლინტონის ღიმილი, ანუ ქცევის, მიმიკის დიპლომატია, სულაც არ ყოფილა ისეთი, რასაც მისგან ინატრებდა ოპოზიცია და რასაც ოპოზიცია გვიყვება ჩვენ, უბრალო მოკვდავებს, დიპლომატიური „ადათ-წესების“ უცოდინარებს, რომ თურმე „იქ“ დიდი ხანია წირვა გამოუყვანეს სააკაშვილს, რომ მისი ბედი გადაწყვეტილია.

კლინტონის კავკასიაში ვიზიტი სულ სხვა მიზანს ემსახურებოდა, რაც არასდროს გახდება ჩვენთვის ცნობილი და რაზეც მხოლოდ ვარაუდით შეიძლება ლაპარაკი. მაგალითად, სამხედრო თანამშრომლობა, ქართული ჯარის შეიარაღება და მისი წვრთნა, ახლო აღმოსავლეთის მოსალოდნელი მოვლენებიდან გამომდინარე ამიერკავკასიაში მტკიცე ფუნდამენტის გარანტირება, სირია-ირანის მიმართულებით განსახორციელებელ გეგმებში კავკასიის ქვეყნების, განსაკუთრებით საქართველოს პოზიციის კიდევ ერთხელ მოსინჯვა, რუსეთის წინააღმდეგ მუდმივ ვერბალურ ქიშპობაში სააკაშვილის რუპორის გამოყენება და სხვა.

გარდა ამ მნიშვნელოვანი საკითხებისა, იყო მთავარი – ხელისუფლებისათვის მხარის დაჭერა. ცხადია, კლინტონმა ახსენა დემოკრატიული არჩევნები, ხელისუფლების გადაცემა და სხვა, მაგრამ ამ ფრაზებს, „რიგითად“ რომ მოიხსენიებენ, ამერიკელები ხშირად იყენებენ, თუმცა საქართველოსთან მიმართებაში ერთობ უშედეგოდ.

კლინტონის ვიზიტი გამოირჩეოდა უაღრესად დადებითი განწყობით სააკაშვილის და მისი წრის მიმართ. დღენახევრიანი ვიზიტისთვის დამახასიათებელი იყო სტუმრის აღფრთოვანებული გამონათქვამები ბათუმის აღმშენებლობასთან, საქართველოს რეფორმებთან, ქართულ ღვინოსთან დაკავშირებით – გუიმპლენისეული ღიმილის თანხლებით. სტუმარი მოიხიბლა ქართველ ხელოვანთა კონცერტით და როგორც სააკაშვილი ამბობს, იუსტიციის სახლით – სადაც მას „თათარიახნად“ მიართვეს საქართველოს პასპორტი – ბიძინა ივანიშვილს, რომ ვერაფრით არგუნეს.

მაინც, რას ემსახურებოდა ქალბატონის ვოიაჟი? თუ ოპოზიციას დავუჯერებთ – ობამას მესიჯის გადაცემას სააკაშვილისთვის – არ გაბედოს პუტინობა, ანუ პრემიერ-მინისტრობა. სხვათა შორის მსგავსი მოსაზრება ამერიკელმა ჟურნალისტებმაც გააჟღერეს, თუმცა ისიც დაუმატეს, რომ მთავარია დემოკრატიული არჩევნების ჩატარება და დამარცხებულის მხრიდან დამარცხების აღიარება, ყოველგვარი მიტინგების და მანიფესტაციების გარეშე.

ესეც ასე! ჩატარდება „დემოკრატიული“ არჩევნები, მოიგებენ ნაციონალები. არჩევნების დემოკრატიულობას შეაჯამებენ დამკვირვებლები, ოპოზიცია გამარჯვებას მიულოცავს ნაციონალებს, ისე, როგორც ეს გააკეთა ადგილობრივ არჩევნებში დამარცხებულმა ალასანიამ.

არადა, კაცმა რომ თქვას არჩევნების ნორმალურად ჩატარების შემთხვევაში, ისე, როგორც ეს ხდება დასავლეთში, დამარცხებული უმალ ულოცავს გამარჯვებულს. ასეთს საქართველოში კარგა ხანს ვერ ვეღირსებით სხვადასხვა მიზეზთა გამო, რომელშიც მთავარი მაინც ძალაუფლების დიდხანს შენარჩუნებაა – ძალაუფლებისა, რომელსაც უპირველესად მოაქვს ხელისუფალთა გამდიდრება, უკონტროლო პარაპში, კანონის ზემოთ დგომა და ის სიკეთეები, რომლებიც ძალიან შორს არის ჩვეულებრივი მოქალაქეებისგან.

ამ „სიკეთეებს“ მოკლებულნი არიან დასავლელი პოლიტიკოსები – ერთმანეთის კონტროლის, მედიისა და ამომრჩევლის მახვილი და კრიტიკული თვალის გამო.

დიახ! კლინტონი მიესალმება დემოკრატიულ, გამჭვირვალე არჩევნებს, მაგრამ სააკაშვილიც ხომ იმავეს აცხადებს, თანაც ყელგამოწვდილი თხოვს ამერიკელებს დამკვირვებლების გამოგზავნას?

რა იქნება არჩევნების, ანუ ნაცთა პარლამენტში უმრავლესობით მოსვლის შემდეგ – ყველასათვის ცნობილია – გაგრძელდება კურსი, რომელიც დღეს არის და რომელსაც ამერიკელები მიესალმებიან. მათ უნდა აწყობდეთ (და ასეც არისძ უკვე გამოცდილი, უკანალში მძრომი სააკაშვილი და მისი გუნდი. ბიძინა, მიუხედავად მისი ეპისტოლარული ჟანრისა, ჯერჯერობით სრულ იმედს არ იმსახურებს. სრული იმედი გაჩნდება პარლამენტში, ოპოზიციაში მუშაობის დროს, თუმცა ესეც საკითხავია, რა დოზით.

ვაშინგტონისთვის სააკაშვილი არის რუსეთის მიმართ ის გამაღიზიანებელი ფაქტორი, რომელსაც ხშირად იყენებს რუსეთთან სავაჭროდ. ასეთ ამპლუაში ივანიშვილს ვერ განიხილავენ.

სააკაშვილი ის პოლიტიკოსია, რომელიც თვალის დაუხამხამებლად ეთანხმება აშშ-ს რეგიონულ საკითხებში, სირიასთან, ირანთან, რუსეთთან, სხვებთან მიმართებაში. ჯარს აგზავნის ერაყსა და ავღანეთში, თუ ამერიკელები მიუთითებენ სირიაშიც – ფართომასშტაბიანი გარე ჩარევის შემთხვევაში. სააკაშვილს კონსტრუქციული ურთიერთობები აქვს მეზობელ თურქეთთან და ამერიკის პარტნიორ ისრაელთან, ამ უკანასკნელთან მას მჭიდრო სამხედრო კავშირებიც აქვს.

სააკაშვილი ამერიკელთათვის ის ჯილაა, რომლის მსგავსის მოძებნა გაუჭირდებათ. ამგვარი ნდობის დამსახურება ვაშინგტონის კარზე იოლი არ არის. ამჟერად ამერიკელები, რომელთა მთავარი ინტერესი კავკასიაში ფეხის მტკიცედ მოკიდებაა და არა ქართველთა ბედი, აქცენტს პირველზე აკეთებენ, რაც ჩვეულებრივი რამ არის დიდი ქვეყნების პოლიტიკისათვის.

სააკაშვილი ფასდაუდებელი ბაჯაღლოა, რუსეთთან ომში, მით უმეტეს დღეს, პუტინის მესამედ გაპრეზიდენტების დროს. პუტინის გამარჯვებამ შეაფიქრიანა ვაშინგტონი, რა არ ილონა ობამას ადმინისტრაციამ, რომ ეს არ მომხდარიყო, მაგრამ უშედეგოდ. ერთი წუთითაც ნუ იფიქრებთ, რომ ამერიკელთა მცდელობა პუტინის არადემოკრატიულობით იყო გამოწვეული. პუტინს არ დაურღვევია რუსეთის კონსტიტუცია, არც თავის თავზე მოურგია ისე, როგორც ეს საქართველოში ხდება. მან პრემიერის პოსტზე შეისვენა და ამის შემდეგ იყარა კენჭი პრეზიდენტობაზე.

გამარჯვებული პუტინი და მისი გუნდი მოსკოვში გამართულ ფართომასშტაბიან მიტინგებსა და მსვლელობებს პირდაპირ აკავშირებენ ვაშინგტონთან და დასტურად რუსეთში აშშ-ის საელჩოს დიპლომატების მიტინგებზე დასწრება მოჰყავთ.

გარდა ამისა არსებობს სხვა საკითხებიც, მათ შორის რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების ევროპაში განთავსება, სირია, ირანი, საქართველო, რომლებშიც არ ჩანს აზრთა დაახლოების ნიშანწყალი, და რომლებიც საფრთხეს უქმნიან ობამასეულ „გადატვირთვის“ პროცესს. „ამ ტერმინს ხშირად იყენებდა მედვედევი, მაგრამ რაც შეეხება პუტინს - არასდროს გამოუყენებია, ვინაიდან არსებობს სხვადასხვა მიზეზები“, – აცხადებს ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგი დიმიტრი საიმსი.

მაინც რა მიზეზებია, რომლებიც აღიზიანებს პუტინს? ზოგი უკვე ვახსენეთ, ზოგსაც მოგახსენებთ.

პრეზიდენტობისათვის ბრძოლაში გამარჯვებული პუტინისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ობამას მილოცვას, რამაც პუტინის და არა მარტო პუტინის, არამედ ობამას სამწუხაროდ დაიგვიანა. თეთრი სახლი ამ დაგვიანებას ხსნის პრეზიდენტის დაძაბული გრაფიკით, რომელმაც მას სწრაფი რეაგირების საშუალება არ მისცა.

დავუმატოთ ამას სეულში ობამას მედვედევთან გადალაპარაკება, რომელიც რესპუბლიკელმა რომნიმ სახელმწიფო ღალატის რანგში აიყვანა, აგრეთვე ზემოთ ნახსენები საკითხები და პუტინის დიპლომატიური დემარშის გამოვლინება არ გაგიკვირდება. ასეთი გახლდათ უარი კემპ-დევიდში დიდი რვიანის შეხვედრაში მონაწილეობა.

ობამასთვის პუტინთან შეხვედრას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ამდენად მან დიდი რვიანის შეხვედრა ჩიკაგოდან კემპ-დევიდში გადაიტანა, რათა მყუდრო გარემოში პუტინთან დიალოგისთვის მეტი დრო დაეთმო.

შეხვედრის პროგრამის გაცნობის მიზნით მოსკოვს აფრინეს ობამას თანაშემწე ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში თომას დონილონი, თუმცა ამაოდ. რუსმა მასპინძლებმა ემისარი უარით გაისტუმრეს – პუტინი მთავრობის წევრთა შერჩევით არის დაკავებული და კემპ-დევიდში მონაწილეობას ვერ მიიღებსო. გაკვირვებულმა სტუმარმა იკითხა – რა შუაშია პუტინი, როდესაც მედვედევი არჩევსო მთავრობას, მასპინძლებმა უპასუხეს – მედვედევი კი არჩევს, მაგრამ პუტინი ამტკიცებსო.

ასე შეიქმნა „გადატვირთვის“ პროცესში ხინჯი და ამ ხინჯში მთავარი რაკეტსაწინააღმდეგო სისტემაა. ვაშინგტონი ამტკიცებს, რომ სისტემა ანტიირანულია და არა ანტირუსული, რისი კრემლს არ სჯერა, ვინაიდან ის თვლის, რომ ამით ირღვევა არსებული ბალანსი.

ამ ფონზე არ შეიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ ვაშინგტონისადმი სააკაშვილის ხვეწნა-მუდარა საქართველოში მსგავსი სისტემების განლაგების შესახებ. მართალია ჯერჯერობით ვაშინგტონს საქართველოსთვის თანხმობა არ განუცხადებია, მაგრამ...

მეორე საკამათო საკითხი სირიაა. რუსეთი მხარს უჭერს ასადის ხელისუფლებას, ვინაიდან ამ ქვეყანას რუსეთთან მილიარდიანი სამხედრო შეკვეთები აკავშირებს. ასადის ჩამოგდების შემთხვევაში, მილიარდები დაიკარგება, ისე, როგორც რუსეთის გავლენა ახლო აღმოსავლეთში. სირია ლიბიის სარკის ანარეკლია.

მესამე საკითხი ირანის ბირთვული პროგრამაა. ამ საკითხში რუსეთს ანტიდასავლური პოზიცია უკავია.

მეოთხე საკამათო საკითხი - რუსეთის საპროტესტო მოძრაობაა. მასში კრემლი ვაშინგტონის ხელს ხედავს. სხვაზე, რომ არაფერი ვთქვათ, თვით პუტინმა დაადანაშაულა სახელმწიფო დეპარტამენტი, პირადად კლინტონი მოსკოვური პროტესტების დაფინანსებაში. კრემლი ამერიკის ახალ ელჩს რუსეთში მაკფოლს, განიხილავს როგორც პუტინის რეჟიმის წინააღმდეგ რევოლუციის ორგანიზატორს.

მეხუთე საკითხი – ჯექსონ-ვენიკის შესწორებათა ნაცვლად მაგნიტსკის შესწორების მიღებაა კონგრესის მიერ. კონგრესის წარმომადგენელთა პალატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა სულ ახლახანს განიხილა და დაამტკიცა კანონპროექტი და მწვანე შუქი აუნთო მას ფართო განხილვისთვის, როგორც კონგრესში, ისე სენატში.

ობამას ადმინისტრაცია გამოდის როგორც ჯექსონ-ვენიკის, ისე მაგნიტსკის შესწორებათა წინააღმდეგ. მაგრამ კრემლის განცხადებით, უგერგილოდ, რომელშიც შეინიშნება ფარისევლობა.

საერთოდაც უნდა ითქვას, რომ მოსკოვში „გადატვირთვის“ პროგრამას მიიჩნევენ ვაშინგტონისთვის უფრო სასარგებლოდ, ვიდრე რუსეთისთვის, უმალ ახსენებენ რა ავღანეთში კოალიციური ჯარისთვის ტვირთის გატარებას და სხვა. დიმიტრი საიმსის აზრი, რომელიც მან გამოიტანა პუტინის გუნდთან შეხვედრის შემდეგ, არის ასეთი: „მედვედევი იყო ერთობ გულუბყვრილო ობამას ადმინისტრაციის მიმართ. პუტინი ობამასთან მიმართებაში ასეთი ტონალობით არ ლაპარაკობს“.

ორთა დაპირისპირება შეინიშნებოდა „შოსის“ პეკინის შეხვედრაზეც, რომლის დროს რუსეთმა და ჩინეთმა კატეგორიულად მოითხოვეს სირიისა და ირანის საკითხების მხოლოდ მოლაპარაკებათა გზით გადაწყვეტა, არავითარი გარე სამხედრო ჩარევა და ა.შ. „შოსის“ კონფერენცია ერთობ მასშტაბურია არა მარტო მისი წევრების სახით, არამედ 18 დამკვირვებლის სახითაც. ასე, რომ იქ მიღებული რეზოლუცია ხელწამოსაკრავი ნამდვილად არ არის.

რა შეიძლება მოხდეს რომნის გამარჯვების შემთხვევაში? რუსულ-ამერიკული ურთიერთობის სახით – კარგი არაფერი. რესპუბლიკელთა საპრეზიდენტო წარმომადგენელი რუსეთს ამერიკის მთავარ პოლიტიკურ მოწინააღმდეგედ მიიჩნევს. მისი გუნდი თვლის, რომ ობამა მედვედევთან უფრო დამთმობი იყო, ვიდრე პირიქით. რომნი წინააღმდეგია „გადატვირთვის“, აგრეთვე აშშ-რუსეთის სტრატეგიული ბირთვული ხელშეკრულების, რომელსაც მედვედევის პრეზიდენტობის დროს მოეწერა ხელი.

რომნი მოუწოდებს რუსეთის ეკონომიკური ზრდის შეჩერებისაკენ, რათა ამით განელდეს რუსეთის გავლენა მსოფლიოში, უპირველესად ევროპაში. რომნი მოითხოვს არა მარტო რაკეტსაწინააღმდეგო ფარს ევროპისთვის, არამედ სარაკეტო მახვილს რუსეთისთვის.

რომნის შტაბ-ბინაში რუსეთს საკითხებზე მუშაობს ჯგუფი კონსერვატორი პოლიტოლოგის ლეონ არონის ხელმძღვანელობით, რომელიც რესპუბლიკელთა ტვინიკოსთა ცენტრის ამერიკან ენტერპრაის ინსტიტუტის წარმომადგენელია. ამას წინათ ის წერდა, რომ 2014 წლისთვის რუსეთი განიცდის ფინანსურ კრიზისს, და ვერ შეძლებს სამხედროებისთვის და მოსახლეობისთვის მიცემული დაპირების შესრულებას. ამ განცხადების მიღმა სხვა რამ იმალება – კრიზისით გამოწვეული რევოლუცია.

როგორც ჩანს, პუტინისთვის ობამა უფრო მისაღები უნდა იყოს, ვიდრე რომნი, მაგრამ სააკაშვილისთვის? ცალსახად შეიძლება ვთქვათ – რესპუბლიკელები და რომნი, მით უმეტეს, როდესაც რომნის მთავარი დამრიგებელი მაკკეინია.

აშშ-სა და რუსეთს შორის არსებული აზრთა სხვაობა, რომელშიც შიგადაშიგ ცივი ომის პერიოდის რიტორიკა გაჰკრავს, განმუხტვა ესაჭიროება. ასეთად შესაძლებელია მექსიკის G-20 შეხვედრა იყოს, რომლის დროს იგეგმება ობამა-პუტინის მოლაპარაკება. თუ რა შედეგით დასრულდება ეს შეხვედრა, მომავალი გვიჩვენებს. მას საქართველოსთვისაც ექნება მნიშვნელობა - შესაძლოა ირიბი, მაგრამ მაინც, თუმცა ეს არ იქნება სააკაშვილის წასვლის მომასწავებელი.

კლინტონის ვიზიტი ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების მოსინჯვა უფრო იყო, ვიდრე ობამას მესიჯის გადაცემა სააკაშვილისთვის არ გაპრემიერებასთან დაკავშირებით. მანამდე დიდი დროა, თანაც ამ მარტივ საკითხში სახელმწიფო მდივნის გამოყენება არ არის აუცილებელი. ასეთ საკითხებს ფილიპ გორდონის დონეზე აგვარებენ, ანუ სახელმწიფო სამდივნოს პასუხისმგებელი მუშაკის, რომელსაც „შეცდომით“ ლავროვმა გონდონი უწოდა.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი.

განსჯა

# „შეშფოთებები“, ანუ ორმაგი სტანდარტები

## მათში გარკვევის გზები

(მეხუთე გვერდიდან)

პერსონალური ორი შემთხვევაც განვიხილოთ. ხაზინის ქურდობისთვის გასამართლებული უკრაინის ექსპრემიერ-მინისტრ იულია ტიმოშენკოს ირგვლივ ისეთი დაცვაა გაჩაღებული მთელ დასავლეთში, კაცი სახტად დარჩები, უკრაინას კი სხვადასხვა სანქციებით, ევროკავშირისგან იზოლაციით და ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის ბოიკოტირებით ემუქრებიან. ამ დროს, ჩვენი მოქმედი პრემიერ-მინისტრის მკვლელობა ისე ჩაიფარცხა, ენა არ დაუსველებიათ, ამერიკის მიერ ჩატარებული სასამართლო-სამედიცინო საექსპერტო დასკვნაც არ გამოქვეყნებულა, „შეშფოთებაც“ არ გამოთქმულა!



ორნახევარი წლის წინათ მოსკოვში, გულის მწვავე უკმარისობით გარდაიცვალა ბრიტანეთის საინვესტიციო ფონდის იურისტი, მოსკოველი ებრაელი მაგნიტსკი, რომელიც დაპატიმრებული იყო ბიუჯეტიდან დიდი ოდენობით თანხის (180 მილიონი დოლარისძ დატაცების ბრალდებით. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის საგამოძიებო კომისიამ ორ ექიმს ოფიციალურად წაუყენა ბრალდება პატიმრისადმი გამოჩენილი გულგრილობის და არასათანადო სამედიცინო დახმარებისთვის (რაც სამიდან ხუთ წლამდე პატიმრობას ითვალისწინებსძ, შეიძრა დასავლეთი — დღემდე(!ძ არ ცხრება აჟიოტაჟი, მეტიც, ამერიკაში შეადგინეს შავი სია — ე.წ. „მაგნიტსკის სია“-(შემდგენელი — რუსეთში ამერიკის ამჟამინდელი ელჩი მაკფოლიძ, შემდეგში კანადის და ინგლისის მიერ ატაცებული, რომელშიც შეიტანეს 60-ზე(!ძ მეტი ადამიანი, ეჭვმიტანილნი(!ძ მაგნიტსკის გარდაცვალებაში, და მათ სავიზო სანქციები დაუწესეს.

**სახტად დარჩები კაცი, აბა რა იქნება, როცა ჩვენთან, სახელმოხვეჭილ ხალხს — აკადემიკოსებს (შარაძე),პრემიერ-მინისტრებს (ჟვანია), პრეზიდენტობის კანდიდატებს (პატარკაციშვილი), პოლიტოლოგებს (კლიმიაშვილი), სამხედრო ოფიცრებს (კრიალაშვილი, შავაძე), დეპუტატებს (გელაშვილი), მხატვრებს (ბურჯანაძე) კლავენ, წამლავენ, ცემით სიკვდილის თვალებში ახედებენ (შედარებით რიგით ადამიანებს, ქუჩაში და ციხეებში ნაწამებ-ჩახოცილს, და არა გულის უკმარისობით გარდაცვლილებს, ხომ თვლა არა აქვთ!), მსოფლიოს ერთ-ერთ უმდიდრეს და უდიდეს ქველმოქმედ ადამიანს (ივანიშვილი) საკუთარი სამშობლოს(!) მოქალაქეობას ართმევენ (ასეულობით მილიონ დოლარს ძალით რომ აწერენ, ის კიდევ სხვაა) და, „დემოკრატიული“ დასავლეთისთვის, საგანგაშო და ყურადსაღები, თურმე, მაინც არაფერი არ ხდება საქართველოში.**

როგორც დასაწყისშივე ვთქვი — „ყველაფერი შედარებითია“, მაგრამ როცა განსხვავება ძალზე დიდია, მაშინ ვამბობთ — „შედარებაც არ შეიძლება“. ამ გაგებით საქართველოს და ნახსენები ქვეყნების ხელისუფლებების ნამოქმედარის ერთმანეთთან შედარება ნამდვილად არ შეიძლება — ერთის მხრივ, შეიარაღებული და აგრესიული გამოსვლების დაშლა სისხლის გარეშე (ყოველგვარი ტყვიების, მომწამლავი გაზის და წყლის(!ძ ჭავლის გამოყენების გარეშეცძ და, მეორეს მხრივ, ერთ ადგილზე(!ძ მყოფი, მშვიდობიანი მომიტინგეების ტყვიებით დარბევა, დახოცვა, თვალების დათხრა, ბორკილდადებული და მიწაზე დაყრილი ადამიანების უმოწყალო ცემა განურჩევლად ასაკისა, სამშობლოს წინაშე დამსახურებისა (მაგ., თბილისის საპატიო მოქალაქე, საქვეყნოდ ცნობილი თბილისის გერბის ავტორი, ქართული შრიფტის ოპიზრად წოდებული, 75 წლის ღვაწლმოსილი მხატვარი ემირ ბურჯანაძე სიკვდილის პირამდე მიიყვანეს მეტალის გარსიანი ხელკეტების ცემით; და, ასევე — სხვა ცნობილი ხელოვნების მუშაკები, სპორტსმენები, ჟურნალისტებიძ. ამ, ცა და დედამიწასავით განსხვავებული ფაქტების გვერდიგვერდ დაყენება იგივეა, სიტყვიერი წაკინკლავება, წვრილმანი ხულიგნობა უმძიმეს კრიმინალს რომ გავუთანაბროთ. ჰოდა, არც დასავლეთი აიგივებს მათ ერთმანეთთან და რეაგირებაც „შესატყვისი“ აქვს — პუტინ-ლუკაშენკოს — ლანძღვა-გინება და სანქციები, სააკაშვილს — მოფერება და ცოტაოდენი თავაზიანი „შეშფოთება“. აშკარაა, რომ ზემოთ მოყვანილი უმძიმესი ფაქტები და შედარებით „რიგითი“ კანონდარღვევებიც, როგორებიცაა: საკუთრების ხელყოფა, ანუ წართმევა, უკანონო დაპატიმრებები და სამსახურიდან დათხოვნები, გაუგონარი ჯარიმები და მასობრივი ტერორი, რასაც საქართველოს ხელისუფლება ახორციელებს, დასავლეთს დიდად არ ანაღვლებს. ჩვენი ოპოზიციის შემხედვარეს, თავისი ინტერესებიდან გამომდინარე, სავსებით პრაგმატულად ფიქრობს — რახან ასე მცირედი ახარებთ და აკმაყოფილებთ ოპოზიციონერებს, მეტი არც არის მათთვის საჭირო, უბრალოდ, ამ „შეშფოთებებს“ ნუ მოვაკლებთ, ცოტა უფრო ხშირად გავაგონოთ და ჩვენს მზეზე ლოცვას გააგრძელებენო!

**რას მივაწეროთ ჩვენი „მეგობარი“ სახელმწიფოების (რუსეთის გარდა, ყველა ხომ ჩვენი მეგობარია, თურქეთის ჩათვლით!) ასეთი პარადოქსული რეაქცია — პრაქტიკულად სრული დამუნჯება (თუ არ ჩავთვლით, დელიკატურად, ლამის ბოდიშის მოხდით გამოხატულ რამდენიმე „შეშფოთებას“) საქართველოს ხელისუფლების მიერ ჩადენილ უამრავ კრიმინალზე, — მეგობრობას? ხელისუფლებასთან მეგობრობას? ალბათ! უფრო კი — მასთან „საპროცესო გარიგებას“, რომლის ძალითაც რაც უფრო უკეთესად გატარდება ამერიკის ინტერესები საქართველოში, მით უფრო მაგრად და მეგობრულად დამუწდება მისი პირი ევროპასთან ერთად, საქართველოს ხელისუფლებას კი მიეცემა სრული განუკითხაობის კარტ-ბლანში საშინაო პოლიტიკაში.**

ცხადია, „ყვინჩილა“ პოლიტიკოსებს (ბ-ნი ჰამლეტ ჭიპაშვილის მიგნებააძ ვერ მოსთხოვ ბევრს, მაგრამ ზოგი დაღვინებული პოლიტიკოსი (იმ პარტიიდან, თავი რომ კიტრივით მოაქვს საკუთარი ინტელექტით — ზოგს ინგლისურის ცოდნით და ზოგსაც — ბერძნულისძ მთლად გაგაოცებთ — პოლიტიკაში უმარტივეს შედარებას არ (თუ ვერძ აკეთებს და, სამაგიეროდ, სულ სხვა სფეროში — სასამართლო-სამედიცინო(!ძ ექსპერტიზაში ისეთ ცოდნას ამჟღავნებს, ექიმი-სპეციალისტებიც კი პირს აბჩენენ გაოცებისგან. „მახათას მთაზე, — აცხადებს ეს პოლიტიკოსი საჯაროდ, პრეზიდენტი ნარკოტიკებით კი არა, ალკოჰოლით იყო გაბრუებული, ოღონდ თეთრი ან შავი ღვინო კი არ ჰქონდა დალეული, არამედ — შამპანურიო, სახეზე ეტყობოდაო“!!! ცოტა დააკლდა, თორემ იმასაც იტყოდა „სუხოი“ დალია პრეზიდენტმა, თუ — „პოლუსლადკი“. ერთად თუ სვამდნენ „ბრუდერშაფტზე“, თორემ ასე თავდაჯერებით ამგვარი დიაგნოზის დასმა მედიცინას არ მოსწრია! ჰოდა, ხომ წარმოგიდგენიათ, ასეთი „გამჭრიახი“ კაცი თავის სფეროში — პოლიტიკაში რა დიაგნოზებს გამოაცხობს!




მართალია, ჩვენი პოლიტიკოსების ნაწილი (ბურჯანაძე, კუკავა და ზოგიერთი სხვაცძლაპარაკობს საქართველოს და რუსეთის პოლიციის ქმედებების შეუდარებლობაზე, მაგრამ დასავლეთის აბსოლუტურად განსხვავებულ რეაგირებას ისინიც თითქმის უკომენტაროდ ტოვებენ და არც იმას ამბობენ, რომ რუსეთ-უკრაინა-ბელორუსის მიმართ დაკავებული მკაცრი პოზიციის ფონზე ჩვენთვის შიგადაშიგ საწყალობლად გადმოგდებული „შეშფოთებები“ ქართველი ხალხის შეურაცხყოფაა, დაცინვაა და არა — მხარდაჭერა!

**ბუნებრივია, ვიკითხავთ: რა მიზანს ემსახურება დასავლეთის ორმაგი, უფრო ზუსტად, სამმაგი სტანდარტები (ერთი — საკუთარი თავისთვის, მეორე — სატელიტი განვითარებადი და, მესამეც — დამოუკიდებელი პოლიტიკის გამტარებელი ქვეყნებისთვის), ნუთუ ეს სახელმწიფოები და, უპირველესად, ამერიკა საკუთარ რეპუტაციას, თანამედროვე ქართულით — „იმიჯს“, არ უფრთხილდებიან?**

მათ იმიჯზე მათივე საკუთრებაში არსებული მსოფლიოს უმსხვილესი საინფორმაციო საშუალებები ზრუნავენ(წვრილფეხა ტელეარხები და გაზეთები მხედველობაში მისაღები არაა, ისინი ამინდს ვერ ქმნიანძ, ხოლო მიზანს რაც შეეხება, იგი რახანია გაცხადებულია — მთელი მსოფლიოს, ყველა ხალხების მორჩილებაში ყოლა და მათი კუთვნილი, დედამიწაზე და ზღვებში არსებული რესურსების ფლობა-კონტროლი (გავიხსენოთ, თუნდაც, ამერიკის ყოფილი სახელმწიფო მდივნის მადლენ ოლბრაიტის სიტყვები რუსეთის წიაღისეული სიმდიდრეების გადანაწილების თაობაზეძ, ადამიანის (ეთნიკურ, რელიგიურ უმცირესობათა და ჰომოსექსუალებისძ უფლებებზე მოჩვენებითი ზრუნვის პარალელურად ეროვნული სახელმწიფოს(ავტოქტონი ერის, მისი წამყვანი რელიგიის და ნორმალური ადამიანების, ე.წ. ჰეტეროსექსუალებისძ უფლებების ძალადობრივი შევიწროება, ერების მიზანმიმართული, შერჩევითი დეპოპულაცია და მათი გარდაქმნა ერთ — უსახო, უსამშობლო, უეროვნებო მასად! (ერთადერთი სახელმწიფო მსოფლიოში, რომლის ეროვნული თვითმყოფადობის და რელიგიის შეხების უფლება არავის არა აქვს, დედიმისის შვილია და გაბედოს ვინმემ(!ძ, არის ისრაელი, სხვა ყველა გოიმია, ამ სიტყვის პირდაპირი, ებრაული გაგებით და გადატანითი, ქართული გაგებითაც; სწორედ ამიტომ, მიუხედავად ჩვენი მრავალსაუკუნოვანი სანიმუშო ურთიერთობისა ებრაელ ხალხთან, რაც მოესურვებათ მაინც იმას „გვაწერენ, როგორც გოიმს“!ძ.

**იაკობ ლეჟავა,**

18 მაისი, 2012

(დასასრული იქნება)

ინფორმაცია

## რესურსცენტრის ხელმძღვანელმა თანამდებობა დატოვა

**უწყებათაშორისი** კომისიის ინფორმაციით, ოპტიმიზაციის პროცესის შეჩერების რეკომენდაციის მიუხედავად, სკოლებსა და ადმინისტრაციულ ორგანოებს დაქვემდებარებულ უწყებებში სამსახურიდან გათავისუფლების რამდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა.

როგორც კომისიის განცხადებაშია ნათქვამი, აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია მათ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ“ მიაწოდა.

სადამკვირვებლო ორგანიზაციის ცნობით, მათი ორგანიზაციის ხარაგაულის მუნიციპალიტეტის კოორდინატორ ქ.პ-ზე, რომელიც ამავდროულად ადგილობრივი საჯარო სკოლის პედაგოგია, ხოლო მისი ოჯახის წევრი პოლიტიკურ საქმიანობას ეწეოდა, სკოლის ადმინისტრაციას სამსახურიდან გათავისუფლების მითითება ჰქონდა.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ, საკითხის გარკვევის მიზნით, მოკვლევა ჩაატარა. მოკვლევის შედეგად გაირკვა, რომ ხარაგაულის რესურსცენტრის ხელმძღვანელს გიორგი არევაძეს მართლაც ჰქონდა კომუნიკაცია სკოლის დირექტორებთან. გიორგი არევაძის განმარტებით, საუბარი შეეხებოდა მხოლოდ სასწავლო დაწესებულებებში პოლიტიკური კამპანიის წარმოების დაუშვებლობას, რაც სამსახურებრივი საქმიანობის მიღმა პოლიტიკური აქტივობის შეზღუდვას ან სკოლაში დასაქმებული პერსონალის ოჯახის წევრების პოლიტიკურ სიმპათია-ანტიპათიის გამო მათ სამსახურიდან დათხოვნას არ გულისხმობდა. იმისდა მიუხედავად, თუ რამდენად სარწმუნოა მომხდართან დაკავშირებით რესურსცენტრის ხელმძღვანელის ინტერპრეტაცია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გენერალური ინსპექციის შეფასებით, ცალკეულ პედაგოგებთან მიმართებით ამ ტიპის კომუნიკაცია უკვე წარმოადგენს დისციპლინურ დარღვევას. აღნიშნული გარემოების გამო, ხარაგაულის რესურსცენტრის ხელმძღვანელმა 5 ივნისს თანამდებობა დატოვა, — ნათქვამია უწყებათაშორისი კომისიის განცხადებაში.

მათივე ცნობით, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორისი კომისია მის ხელთ არსებული სამსახურიდან დათხოვნის სხვა ფაქტების შესწავლასაც ახდენს.

ინტერპრესი

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ქველმოქმედმა მილიარდერმა ქართული პოლიტიკა შეცვალა



**ჭორვილა, საქართველო – მილიარდერი ბიძინა ივანიშვილი უკვე ათი წელია თავისი ქონების მეშვეობით ღარიბ ქართველებს ოცნებას რეალობად უქცევს – უშენებს სახლებს, საავადმყოფოებსა და სკოლებს.**

მან დააგო გზები, აუშენა თანასოფლელებს სახლები წყლის გაყვანილობით, ელექტრობით, ბუნებრივი გაზით და თავის სოფელში, ჭორვილაში, სადაც ბავშვობა გაატარა და მეგობრებს ფეხბურთს ეთამაშებოდა, ყოველ ოჯახს თვეში 200 ლარს აძლევდა, ხოლო ახლად დაქორწინებულებს 3000 ლარს სჩუქნიდა.

მაღალმთიანი სოფლის თვითგამოცხადებული მხსნელი ახლა იძულებულია საკუთარი ლეგენდა გვერდზე გადადოს, რათა თავისი ამბიციური მიზანი განახორციელოს და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის პრემიერი გახდეს.

„ეს ჰგავდა ზღაპარს, რომლისგანაც ჯერაც ვერ გამოვფხიზლებულვართ,“ ამბობს ვალერიან ივანიშვილი, ჭორვილაში თავის ორსართულიან სახლთან, რომელიც მისი მოგვარის ხარჯზეა აშენებული და სულ არ იქნებოდა უადგილო მდიდარი დასავლური გარეუბნისთვისაც.

თავის სამსართულიან სახლში, ივანიშვილს კერძო ზოოპარკი აქვს და იქ პინგვინებს, ლემურებსა და კენგურუებს უვლიან.

დღესაც კი, მთის ფერდობზე, 5,000-მოსახლიანი სოფლის ცენტრიდან მოშორებით, დაუმთავრებელი სახლი მისი მფარველობის დასასრულის მანიშნებელია, მფარველობისა, რომელიც საარჩევნო კანონმდებლობით აიკრძალა.

აი, ასეთი საფასური უნდა გაიღოს 56 წლის მეწარმემ, რათა დასავლეთის რჩეულს, მიხეილ სააკაშვილს კონკურენცია გაუწიოს.

ივანიშვილმა უკვე შეცვალა კავკასიის ამ ქვეყნის (რომლის მოსახლეობა 4.5 მილიონიაძ პოლიტიკური ლანდშაფტი იმით, რომ დანაწევრებული ოპოზიცია კოალიციაში გააერთიანა და სააკაშვილს მოულოდნელად მტკიცე კონკურენტად მოევლინა.

სწორედ სახელდებულ კოალიციას „ქართულ ოცნებას“ მართლა შეუძლია ჩაუშალოს სააკაშვილს ძალაუფლების შენარჩუნების ნებისმიერი გეგმა, როდესაც მისი საპრეზიდენტო ვადა 2013 წელს დასრულდება – სააკაშვილმა შეიძლება პრემიერ-მინისტრობა მოისუროვს. ამ თანამდებობას საკონსტიტუციო ცვლილებების მეშვეობით გაისად მეტი ძალაუფლება მიენიჭება.

„ივანიშვილის გამოჩენა ელვასავით იყო. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ მან უკვე აჩვენა – ის ძალას წარმოადგენს,“ განაცხადა პოლიტოლოგმა ალექსანდრე რონდელმა მას შემდეგ, რაც ივანიშვილმა ოქტომბრის პარლამენტის არჩევნებისთვის კამპანია დაიწყო და მის დემონსტრაციას 27 მაისს ათეულობით ათასი ადამიანი დაესწრო.

„საქართველოში ძალიან მნიშვნელოვანია რამდენი ადამიანის გამოყვანა შეგიძლია ქუჩაში. ივანიშვილმა ელექტორატის ნახევარზე მეტი გამოიყვანა.დანარჩენი ოპოზიცია მხარდამჭერების გარეშე დარჩა,“ განაცხადა მან.

### იდუმალებით მოცული კაცი

დემონსტრაციამ ივანიშვილი რწმენით აღავსო.

ასეთი რწმენა, ალბათ, გასაოცარია იმ კაცისგან, რომელიც, იმ დროს, როდესაც საბანკო სისტემიდან დაწყებული, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით დამთავრებული რუსეთში ქონებას აგროვებდა, ისე გაურბოდა საჯაროობას, რომ ძალიან იშვიათად იძლეოდა მისი ფოტოსურათის გადაღების ნებასაც კი.

მიუხედავად იმისა, რომ მას თბილისის თავზე გასაოცარი მინისა და ლითონის სახლი აქვს და ამ სახლში დემიენ ჰერსტისა და როი ლიხტენშტეინის ნამუშევრებია გამოფენილი, ძალიან ცოტა ადამიანმა იცოდა ბოლო დრომდე ის, თუ როგორ გამოიყურებოდა ივანიშვილი.

როდესაც მან 2006 წელს 95.2 მილიონ დოლარად პიკასოს „დორა მაარი და კატა“ იყიდა, ეს ანონიმურად გააკეთა. მას შემდეგ ექვსი წელი გავიდა და მისი ცნობა უკვე ადვილია.

ივანიშვილმა უარი თქვა პრივატულობაზე, მისივე თქმით, თავისი სამშობლოს სიყვარულის გამო და იმისთვის, რომ გააძევოს მთავრობა, რომელსაც ის ბრალს სდებს მდიდრებსა და ღარიბებს შორის უფსკრულის გაღრმავებაში.

„56 წლის ასაკში ძნელია პოლიტიკოსობის სწავლა. მე ჩემს თავს არ ვეკუთვნი. მაგრამ მთავარი ჩემი ქვეყანაა,“ განაცხადა მან თბილისის ოფისში, რომელსაც ერთ მხარეს ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის საპატრიარქოს შენობა ემიჯნება და მეორე მხრიდან – კაზინო.

„როდესაც ამდენი ხალხი გამოვიდა (27 მაისსძ, მე მივხვდი, რომ ყველაფერი სწორადაა“.

ივანიშვილი პრემიერ-მინისტრობას აპირებს, ის ამბობს, რომ პოსტზე ორი წლის მანძილზე დარჩება და მერე ადგილს პროფესიონალებს დაუთმობს.

ის პირობას დებს, რომ განამტკიცებს ეკონომიკას ბიუროკრატული კონტროლის შემცირებით, ბოლოს მოუღებს მონოპოლიებს და მოიზიდავს უცხოელ ინვესტორებს. ის ამბობს, რომ გააუმჯობესებს ჯანდაცვას და სოფლის მეურნეობას, უფრო დამოუკიდებელს გახდის სასამართლო სისტემას და საბაჟო და საგადასახადო სამსახურების მეტ ტრანსპარენტულობას უზრუნველყოფს.

მან ცხადყო, რომ ის აპირებს ეკონომიკის გამოცოცხლებას საკუთარი ქონების დახმარებით, რომელიც „ფორბსის“ გათვლით 6,4 მილიარდ



დოლარს უტოლდება და განაცხადა, რომ მისი საინვესტიციო ბანკი სესხებს სპეციალური კურსით გასცემს.

სააკაშვილის მსგავსად, მას სურს, რომ საქართველო ნატოსა და ევროკავშირის წევრი გახდეს. მაგრამ მას სჯერა, რომ სააკაშვილზე უკეთ შეძლებს რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგებას. რუსეთ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობები შეწყდა 2008 წლის ხუთდღიანი ომის შემდეგ, რომელიც სეპარატისტული რეგიონების აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამო მოხდა.

დასავლეთის მთავრობებისთვის სტაბილურობა ისეთ ქვეყნებში, როგორიც საქართველოა, სადაც კასპიის ზღვიდან მომავალი ენერგეტიკული ტრანზიტული მარშრუტი გადის, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რადგან ამ აირმა უნდა შეამციროს დასავლეთის დამოკიდებულება რუსეთის ენერგორესურსებზე.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ხაზი გაუსვა ამ საკითხს, როდესაც მიმდინარე კვირის ვიზიტისას საქართველოს ახალი სამხედრო დახმარების პირობა მისცა და არ დაეთანხმა საქართველოს სეპარატისტული რეგიონების რუსულ „ოკუპაციას“.

### ძალიან დიდი სიახლოვე რუსეთთან?

ივანიშვილის საარჩევნი შანსები განამტკიცა სააკაშვილის პოპულარობის დაცემამ იმის გამო, რომ მან ვერ შეასრულა მის მიერ დანაპირები ყველა რეფორმა და რუსეთთან დამანგრეველი ომის გამოც. ამ ომის შემდეგ რუსეთმა ორ მეამბოხე რეგიონზე კონტროლი დააწესა.

„ჩვენ გვეგონა, რომ დემოკრატიის მსგავსი მდგომარეობისკენ მივდიოდით, მაგრამ ახლა ტოტალიტარული რეჟიმი გვაქვს. ივანიშვილს უნდა, რომ საქართველო ნორმალური ქვეყანა იყოს. სხვა თუ არაფერი, ის თუ მოვიდა ხელისუფლებაში, არსებობს იმედი, რომ რაღაც შეიცვლება“, ამბობს 63 წლის უმუშევარი თბილისელი მევლუდ ფილიშვილი.

მაგრამ 44 წლის სააკაშვილსაც ბევრი უჭერს მხარს, თუნდაც იმ ზოგიერთი პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმის გამო, რომელიც გაატარა, მიუხედავად იმისა, რომ ყველა პირობა არ შეასრულა, მაგალითად პირობა კორუფციის დამარცხებისა და საქართველოს სიღარიბისგან გათავისუფლების შესახებ.

ქართველების თითქმის 15 პროცენტი დღეში 1.25 დოლარით ირჩენს თავს, რაც გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამის 2011 წლის ანგარიშის თანახმად, საერთაშორისო სტანდარტით დადგენილი სიღარიბის ზღვარია.

სოციოლოგიური გამოკითხვების თანახმად, „ქართული ოცნება“ 20 პროცენტით ჩამორჩება სააკაშვილის ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, მაგრამ ივანიშვილს უზარმაზარი ფინანსური შესაძლებლობანი აქვს და მისი კოალიცია ჯერ ახალია.

მისი მჭიდრო ბიზნესკავშირები რუსეთთან, სადაც წარმატება შეიძლება იყოს დამოკიდებული პოლიტიკურ კეთილგანწყობაზე, ის მომენტია, რომელმაც ხელი გაუხსნა მის ოპონენტს და მათაც დაადანაშაულეს ივანიშვილი რუსეთის მარიონეტობაში და იმაში, რომ მოსკოვიდანაა მართული. ეს სერიოზული ბრალდებაა ქვეყნისთვის, სადაც ძალიან ცდილობენ, დაიცვან თავიანთი დამოუკიდებლობა ყოფილი ბატონისგან.

ამ კრიტიკის საპასუხოდ, ივანიშვილმა განაცხადა, რომ გაყიდა თითქმის მთელი ქონება, რომელიც რუსეთში ჰქონდა, სადაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ბიზნესი კომპიუტერების გაყიდვით დაიწყო.

### მთავრობა თვალს ადევნებს და იცდის

მთავრობა ივანიშვილს მრავალ ბარიერს უქმნის. მათ შორისაა ის, რომ შარშან ივანიშვილს ფრანგული და რუსული პასპორტის ფლობის გამო ჩამოერთვა საქართველოს მოქალაქეობა, თუმცა ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობის საშუალება, საკანონმდებლო ცვლილებების მთელი წყების გამო, მაინც ექნება.

ზოგიერთი, ვინც ივანიშვილის მოქალაქეობის აღდგენისათვის ხელმოწერებს აგროვებდა, ამბობს, რომ დღემდე განიცდის რეპრესიებს.

ჭორვილაში თემურ კაპანაძე, 52 წლის ისტორიის მასწავლებელი ამბობს,რომ მან უეცრად და უმიზეზოდ დაკარგა სამუშაო ადგილობრივ სკოლაში. 40 წლის თეიმურაზ კვეცაძე, რომელიც მეზობელ ჭორვილაში „ქართული ოცნების“ ოფისის ხელმძღვანელია, ადგილობრივი საცურაო აუზიდან დაითხოვეს.

ზოგიერთი ანალიტიკოსი ამბობს, რომ მთავრობამ მალე გააცნობიერა თავისი რეაქციის ზედმეტი სიმწვავე და შეამსუბუქა წნეხი, რადგან შიშობდა, რომ ეს ივანიშვილის სასარგებლოდ იმუშავებდა. ახლა ისინი მის შეცდომებს ელიან.

ჰილარი კლინტონმა თავისი ვიზიტის დროს საქართველოში განაცხადა,რომ შეერთებულ შტატებს სურთ თავისუფალი და სამართლიანი პარლამენტის და პრეზიდენტის არჩევნები. ეს შეამცირებდა ძალადობრივი შედეგების და რეგიონის დესტაბილიზაციის შესაძლებლობას.

დასავლეთს უნდა, რომ სააკაშვილმა, რომელიც გადაურჩა 2009 წლის საპროტესტო გამოსვლებს როდესაც გაისად, მისი საპრეზიდენტო ვადა ამოიწურება, თავი აარიდოს პრემიერ-მინისტრობის ცდუნებას და არ მიბაძოს ვლადიმერ პუტინის მაგალითს, რათა საქართველოს უმაღლეს მმართველად დარჩეს.

არა აქვს მნიშვნელობა ვინ მოიგებს არჩევნებს, ივანიშვილს ჭორვილაში ყოველთვის გმირივით შეეგებებიან.

კაპანაძე, მასწავლებელი ამბობს, რომ ადამიანის არსი მისი ბავშვობის თავგადასავალში უნდა ეძიო, „როდესაც ის სოფლიდან თბილისში წავიდა სასწავლებლად, თავისი ბურთი დაგვიტოვა, რადგან ამ ბურთით ვთამაშობდით ფეხბურთს ყოველთვის.“

**ტიმოთი ჰერიტეიჯი,**
**The Republic**



## დედამიწის ზურგზე




„როსთავდაცვაექსპორტი“ გამოვიდა მოსკოვის კონტროლიდან და თვითნებურად აწვდის იარაღს ერაყს, ეჭვი აქვთ აშშ-ში

**სპეცსამსახურები ამტკიცებენ, რომ რუსეთის სახელმწიფო კომპანიამ თეირანს გადასცა ტექნოლოგიები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ბალისტიკური რაკეტების შექმნისთვის. შეშფოთებულმა სენატორებმა მოუწოდეს პენტაგონს, უპასუხოს სანქციებით. სახელმწიფო დეპარტამენტმა კი „ამხილა“ რუსეთის ფედერაცია სირიისთვის დამრტყმელი შვეულმფრენების მიწოდებაში. სხვათა შორის, ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტრო ჯერჯერობით არ არის მზად, უარი თქვას ხელსაყრელ გარიგებებზე.**

* * *

ტერორისტული აქტების სისხლიანი სერია ერაყში – დაღუპულია 60-ზე მეტი კაცი



**წინასწარი მონაცემებით, აფეთქებების დროს დაიღუპა 62 კაცი, ათობით დაიჭრა. აფეთქებების ხმა გაისმა ქვეყნის ექვს პროვინციაში, თანაც ათი აფეთქება მოხდა ბაღდადში. ქვეყნის დედაქალაქში დაღუპულთა მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ შიიტები, რომლებიც იქ ჩავიდნენ რელიგიურ დღესასწაულზე.**

* * *

საფრანგეთში არ შეუშვეს სამი მუსლიმანი ქალი ჩადრის ახდაზე უარის თქმის გამო



**ქალბატონები იყვნენ საუდის არაბეთის მოქალაქეები, ისინი საფრანგეთში ყატარიდან ჩაფრინდნენ. პარიზის აეროპორტში სასაზღვრო პოლიციის თანამშრომელმა სთხოვა ქალბატონებს ეჩვენებინათ სახეები, მაგრამ მათ უარით უპასუხეს. შედეგად სტუმრებს აღმოსავლეთიდან უარი უთხრეს ქვეყანაში შესვლაზე, ისინი უკან ყატარში დაბრუნდნენ.**

* * *

ყაზახეთის სასაზღვრო პოსტის მებრძოლის დედა: შვილმა საიდუმლოდ აღიარა, რომ არავინ მოუკლავს

**მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მონაცემებით, რიგითმა ჯარისკაცმა ვლადისლავ ჩეპახმა ხანმოკლე შეხვედრის დროს დედას ყურში ჩუმად ჩასჩურჩულა. დედა! მე ეს არ გამიკეთებია“. ქალმა შვილის სახეზე დაინახა ჩალურჯებული ადგილები, ახალგაზრდის ბაბუამ კი განაცხადა, რომ მიმართა დაღუპული ჯარისკაცების ოჯახებს და მათ არ სჯერათ, რომ ჩეპახი დამნაშავეა. ოჯახმა დაიწყო დამოუკიდებელი ადვოკატისთვის სახსრებისა და ჯარისკაცის დასაცავად პეტიციებზე ხელმოწერების შეგროვება.**

შეხვედრა მწერალთან

# „თქვენი დაბრუნება საწინდარი იყოს ჩვენი ყველა მხარის გაერთიანებისა“...



**ძალიან სუფთა და ალალია. ასეთივეა მისი შემოქმედებაც, — ეს აზრი კიდევ ერთხელ განმიმტკიცა გურამ პეტრიაშვილის დანახვამ.** 20 წლის განშორების შემდეგ ბატონი გურამი ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ დარბაზში ვნახე პირველად...ვუყურებდი მის სახეს...თვალებს და ცრემლებამდე მისული განცდა მეუფლებოდა – ეს იყო კეთილი მეზღაპრის დაბრუნება ახალი ფიქრებითა და ოცნებებით. მეზღაპრისა, არც ერთი დღე და წუთი რომ არ უცხოვრია უსაქართველოდ! სხვათა შორის, უკრაინაში ქართველ ანდერსენს, შარლ პეროს, ეგზიუპერს ეძახიან... მას 21-ე საუკუნის ოსკარ უაილდიც უწოდეს.

სულ სხვაა პოეტი გურამ პეტრიაშვილი და პუბლიცისტი გურამ პეტრიაშვილი, — აღნიშნა ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ მთავარმა რედაქტორმა **როსტომ ჩხეიძემ**, — იგი არის პუბლიცისტი – ტრიბუნი, ვერ ჩამოიყვანთ ტრიბუნიდან და არც უნდა ჩამოიყვანოთ, ხოლო პოეტი სრულიად განსხვავებულიაო...მართლაც, ასეა – ნაზი, სათუთი ლირიკოსია. ვისაც მისი ეროვნული მოძრაობისდროინდელი გამოსვლები ახსოვს, თითქოს ვერც კი წარმოიდგენს, რომ მისი პოეზია სულის უფაქიზეს განცდებს ეხება. გაიხსენეთ მისი ლექსი: „დილაადრიან ნაწვიმარ ბაღს ვუცქერ ფანჯრიდან და თვალს ვარიდებ ბაღის ერთ კუთხეს; იქ მოწყენილი და ფიქრიანი დგას პატარა ხე ალუბლისა, პირველად რომ დაკრიფეს გუშინ“. ასეთი უნაზესი განცდით სავსეა ამ კეთილი და უცნაური მეზღაპრის მთელი შემოქმედება.

როცა ვწერ, მაშინაც ვლაპარაკობ, მაშინაც ვესაუბრები მკითხველსო...ასე მხოლოდ დიდი გულწრფელობა ალაპარაკებს...შემოქმედებაც ასეთივე გულწრფელი და უშუალოა. ბატონი გურამი საოცრად ჰგავს თავის ლექსს „სიმღერა თეთრ იასამანზე“. იასამანზე უამრავი ლექსი დაუწერია, მაგრამ ეს განსაკუთრებულად უყვარს. ო, შუქი შენი რარიგ თეთრია, — მიმართავს იასამანს, და თითქოს ეს სტრიქონები დიდი ტრაგედიისა და ტკივილიანი ემიგრანტობის სულის ამოძახილია...

„სიმღერა თეთრ იასამანზე“ სტუდენტობისას ჩემს სიყვარულს მივუძღვენი, კომპოზიტორმა გია გორდეზიანმა დაწერა სიმღერა. გიას ჩემი ლექსი ჩემმა მეგობარმა მიაწოდა. როდესაც უთქვამს, გურამ პეტრიაშვილის ლექსიაო, გიას უკითხავს, რომელი პეტრიაშვილის, მიტინგებზე რომ გამოდიოდა და რაღაცებს ყვიროდაო? არა, ის გურამ პეტრიაშვილი სულელია, ეს კი ძალიან კარგი პოეტიაო...ასე დაიწერა ეს სიმღერა და საზოგადოებაშიც პოპულარობა მოიხვეჭა...“

„მადლობა ჯაბას, მხედრიონს და კიტოვანს... მათ გამაგდეს საქართველოდან. მანამდე ლექსი არ დამიწერია. სამშობლოზე ვფიქრობდი და არ მეცალა. იქ რომ წავედი, უფრო მეტს ვფიქრობდი ლექსებზე“...

მანამდე კი...მწერლისა და ლიტერატურათმცოდნე მიხეილ კვესელავას ლექციები იყო...სწორედ ამ ლექციებმა აღავსეს ახალი შთაგონებით. მისი პირველივე ლექციის მოსმენის შემდეგ დაწვა ბავშვობისდროინდელი ლექსების რვეული. „გარეთ ღამეა და ვხედავ კათედრაზე დგას ბოდლერი დიდი შავი მოსასხამით და ყვება რაღაცას. ხანდახან გააელვებდა თვალებს. იმ ღამეს ლექსი დავწერე. ბავშობაში დაწერილები კი დავხიე. მალე 12-გვერდიანი რვეული გავავსე და მივუტანე. ორი დღე არაფერი უთქვამს. მესამე დღეს კი მითხრა, მოდიო, შენ იცი, რომ მაგარი პოეტი ხარო... გააგრძელეო.“ მერე ტარიელ კვანჭილაშვილმაც მოუწონა, „მნათობშიც“ დაიბეჭდა... „მერე ურცხვად განვაგრძე წერა...არადა როგორი გასაძლებია – ჩემამდე რუსთაველი, გურამიშვილი, ვაჟა-ფშაველა იყო... აღარ მერიდებოდა... ესენი დავივიწყე, ვითომ არ ყოფილან, და მივედი იქამდე, 70 წლის კაცი ვდგავარ თქვენს წინაშე და ვკითხულობ რაღაცებს...“

ასეა – საქართველოში თაობები ეწირებიან სამშობლოს სიყვარულს, — აღნიშნა ფილმ „ნეილონის ნაძვის ხის“ სცენარის ავტორმა **ამირან დოლიძემ** და დასძინა, ვისაც სამშობლო უყვარს, სიცოცხლე მისთვის ომიაო. გურამსაც მთელი ცხოვრება ამ გზით უვლიაო. ამ ფილმში ბატონი გურამი ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებს.

ფილმის რეჟისორმა **რეზო ესაძემ** საუკეთესო უწოდა გურამ პეტრიაშვილის როლს: „მისი არჩევა ამ როლზე დიდხანს არ გაგრძელებულა. რა ნიშნით ვირჩევდით? ეს უნდა ყოფილიყო კაცი, რომელსაც მგზავრები ავტობუსიდან ჩამოაგდებენ, და რომლის გულისთვისაც იგივე მგზავრები უკან დაბრუნდებიან მოსაძებნად. ასე ვიცით ქართველებმა, ჯერ გავაგდებთ, მერე ვეძებთ.

ეს არის ის კაცი, ჩემი სანუკვარი კაცი. მივხვდით, რომ ასეთი კაცი საძებარი არ უნდა გვყავდეს. გაუმარჯოს ასეთ კაცს. გაუმარჯოს მის ლექსებს, ზღაპრებს! მის შემოქმედებას კი არ ვკითხულობ, ვსუნთქავ!“

**მანანა გაბაშვილმა** გურამ პეტრიაშვილს მრავალმხრივი შემოქმედი უწოდა, ვინც პოლიტიკაშიც კი თავისი სტილი შექმნა, რომელიც ზოგს აგიჟებდა, ზოგს აღაფრთოვანებდა. უზენაეს საბჭოში კოლორიტული პიროვნება იყო, ხალხიდან გამოსული, ხოლო ეროვნულ მოძრაობაში – ოთარანთ ქვრივი.

„რა უნდოდა გურამ პეტრიაშვილს? 1801 წლიდან ქართველი იდევნება განუწყვეტლივ, მუდმივად. ერთადერთი იმპერია ერჩის მას იმიტომ, რომ ქართველია. კონფლიქტებით შენილბეს ეს ზრახვა. გვინდოდა ქართველების დევნა შეწყვეტილიყო, ქართველ კაცს ის საქმე ეკეთებინა, რისთვისაც ოდითგან იბრძვის. ეს იყო მისი მიზანი. ხალხიდან გამოსული ადამიანის სიტყვები და ვერ გაუგეს, რადგან საბჭოთა სისტემაში სიყალბე მეფობდა და სიტყვებს თავისი მნიშვნელობა გამოცვლილი ჰქონდათ. გურამ პეტრიაშვილმა ამ სიტყვებს უწინდელი მნიშვნელობა დაუბრუნა. 1992 წლიდან კი, სამწუხაროდ, ისევ დაკარგეს ეს მნიშვნელობა.

მინდა ისეთ საქართველოში ვიცხოვროთ, გურამის მსგავსნი ავტობუსიდან აღარ ჩააგდონ (იმ ფილმს სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდაძ. თქვენ არაჩვეულებრივი კეთილი ღიმილით ჩამოხვედით, და დაბრუნდით არა მხოლოდ ეროვნული ხელისუფლების მომხრე, შემცდარი ადამიანის მომხრეც. მინდა, თქვენი დაბრუნება საწინდარი იყოს ჩვენი ყველა მხარის გაერთიანებისა“.

„ხალხის წიაღიდან ხარ გამოსული, ამ ხალხურობისა და სიმართლის გამო მიყვარდი, ბევრი ვინმეს სათქმელს რომ ამბობდი, ამის გამოც მიყვარდი“, — აღნიშნა **მაკა ჯოხაძემ** და იქვე განაგრძო, შენი ჩამოსვლა დროულიც იყო, ვხედავთ, რა დღეშია ქვეყანა, და ბევრ სითბოს მისცემო...არც ერთი წუთით არ შეგვეპაროს სკეფსისი. აქ ვინც ხართ, ისეთი ღირებულების მქონენი ხართ, რომ ჯერ კიდევ ვჭირდებით მომავალ თაობას. თორემ თვალსა და ხელშუა გვაცლიან ყველაფერსო...

ბატონმა გურამმა კი ისევ ალალად და გულწრფელად თქვა – რა ვქნა, სხვა ხელობა არ ვიცი, ერთადერთი ჩემი ხელობა ქართული სიტყვააო.

მეზღაპრე თავის გზას განაგრძობს...70 წლის იუბილეს საქართველოში აღნიშნავს. ამბობს, რომ რაც ასაკში შევიდა, გარეგნულად ექვთიმე თაყაიშვილს დაემსგავსა. სწორედ ექვთიმე თაყაიშვილზე სურს ფილმის გადაღება, სადაც ექვთიმეს როლს თავად შეასრულებს..

მე კი ერთ-ერთ ინტერნეტ-ფორუმზე ამოკითხული სიტყვები მახსენდება გურამ პეტრიაშვილზე: „ძალიან მიყვარს ეს კაცი... დედას ვფიცავარ, ასეთ ალალ, საკუთარ რწმენას, პრინციპებს და სამშობლოს შეწირულ „არამოდური ტიპებზე“ იდგა იმთავითვე ეს ქვეყანა! როგორ დაბერებულა, მაგრამ მაინც გამიხარდა მისი სამშობლოში დაბრუნება: მევასება მისი ზღაპრები (ბავშვობაში წავიკითხეძ და მისი კინოგმირები ხომ საერთოდ – შედევრებია. მოკლედ, ღმერთმა ხელი მოუმართოს მასაც და მასავით სამშობლოზე შეყვარებულ ყველა ქართველს!..“

მეც ამ სიტყვებით დავასრულებ ამ წერილს.

**თამარ შაიშმელაშვილი**

წკიპურტები

# მოგზაურობა დედაქალაქში

გუშინ ისევ დამირეკა ძველმა მეზობელმა!

თქვენ გაიხარეთ, ეს რა ჰიმნად აჟღერებული დითირამბები შემატყობინა ჟურნალმა „თბილისურმა ამბებმა“: „საზოგადოებასთან მუდმივი დიალოგი და ანგარიშ-ვალდებულება თბილისის მერიის საქმიანობის შემადგენელი ნაწილია. თბილისელთა მონაწილეობით შთამბეჭდავი ცვლილებები განხორციელდა. აღიარებულია, რომ დღეს თბილისი უკეთესი ქალაქია, ვიდრე, რამდენიმე წლის წინათ იყო. საქართველოს დედაქალაქის აღმშენებლობის მასშტაბები, მართლაც, უპრეცედენტოა. ის, არა მარტო საქართველოს, არამედ, მთელი კავკასიის ცენტრად ჩამოყალიბდა. ჩვენ, საზოგადოებასთან ერთად ვაგრძელებთ ულამაზესი ევროპული ქალაქის მშენებლობას. ჩვენთვის გადამწყვეტია თბილისელების მონაწილეობა ამ პროცესში, მით უმეტეს, რომ გასაკეთებელი კიდევ ბევრია!“ – გვატყობინებს თბილისის მერია და, როგორ შეიძლება კაცს (მით უმეტეს, თბილისელს!) გული სიამაყით არ აღგევსოს?!... ოღონდ, საოცარია, გასაკეთებელი ისევ ბევრიაო, რომ ამბობს „ტექსტის ავტორი“!

ბოლომდე ჩავიკითხე ამ სპეცჟურნალის ეს შესავალი ტექსტი და განვაგრძე ფურც!... ო, ღმერთო ჩემო, რამდენი რამე გამომრჩენია! ვითომ?

ამასობაში ტაქსი შეჩერდა და მძღოლმა გამომიყვანა ფიქრებიდან:

– რა ადგილას გნებავთ, ბატონო?... უკვე ვაზისუბანში ვართ!...

– ძველ მილიციასთან, გეთაყვა!

– აი, ისიც!

– თვალი მოვავლე იქაურობას და მივხვდი, იქ ვიყავი!

მძღოლს მადლი მოვახსენე და მანქანიდან გადმოვედი, მაგრამ ვაი, ასეთ გადმოსვლას! კინაღამ კინჩხი მოვიტეხე ანგრეულ ასფალტზე.

კიდევ კარგი, იქვე დამხვდა ჩემი ძველი მეზობელი, რომლის თხოვნითაც ამოვედი აქ.

ცოტა უკმაყოფილოდ მოვიხსენიე „მთავრობა“ და ნატკენი ფეხი „მოვინახულე“!

– ამათ, მხოლოდ არჩევნების წინა ხანებში ახსენდებათ ხალხი!...

– რას ბუტბუტებ, თუ, იცი?...

– იმას ვბუტბუტებ, რასაც ვხედავ!...

–შენ ცოტა ალაოდ ხომ არა ხარ?... თუ, რავაა შენი საქმე?

– ალაოდ მე კი არა, შენა ხარ... თუ თვალებს არ გაახელ, უარესი დაგემართება!!...–შემაფუცხუნა ძველმა მეზობელმა და „შემიკურთხა“ კიდევაც.

–წინა არჩევნების ხანებშიც იყო ჩვენს უბანში ეს თქვენი „მერია“ თუ, ჩემი ფეხები, და მერე რა?...

– სად, თქვენთან?... იტყუები რაცხას!

– სად და, აქ... ვაზისუბანში!... მესამე მიკრო რაიონის პირველ კვარტალში!...

– მერე რა?

– მაშინ მთელმა ხალხმა სთხოვა იმ... იმ დალოცვილს, ჩვენი კვარტლის შიდა გზები საშინელ მდგომარეობაშია და დაგვეხმარეო!

– მერე?

– რა, მერე?... შენც ხედავ აგერ!... კვარტლის იმ მხარეს დააგეს ასფალტი, საითკენაც მათი „ნაც“ მოძრაობის „ნაჩალნიკი“ ცხოვრობს, მეორე მხარეს კი, დღესაც კისრისტეხით დადიან მანქანებიცა და ადამიანებიიც!...

– მერე?

– რა „მერე“ აგიტყდა შე, დეგენერატო?!... ერთი შენც და შენი „მერეც“... – ისევ „ძვირად“ მოგვიხსენია ჩემმა მეზობელმა. მე ცოტა ფრთხილი კაცი ვარ და, როცა იმ საქმეს მოვრჩით, რისთვისაც ვეწვიე, გავერიდე იქაურობას! მერე ავდექი და, ასევე ფრთხილადვე, ჩამოვიარე ქალაქის სხვა უბნებიც, ნეტავი ყველგან ასეა აღრეცილი ხალხი-მეთქი?

...დიახ, სხვაგანაც „აღრეცილები“ დამხვდნენ!... ერთგან კი, ქალაქის მერს სარეკლამო ფოტოებს ულებდნენ „პაპარაცები“! იქვე, ქუჩის გადაღმა კი, ლტოლვილთა „არმიას“ აკავებდნენ „კარგი ბიჭები“!

– სუბელიანმა უნდა გადაწყვიტოს თქვენი საკითხი!... უგულავასთან რა გინდათ?!...

– სადაა სუბელიანი? რომც იყოს, ქალაქში ვინ ჰკითხავს მას ჩვენი სახურავის ამბავს?!... აგერაა გიგი და გაგვცეს პასუხი!...

– ხომ ხედავთ, არ სცალია გიგის!.. კორესპონდენტები ახვევია!

...საოცარი ხალხია ეს ლტოლვილები, არ ეყურებოდათ იმ „კარგი ბიჭების“ ნათქვამი.

ეტყობა, არ ეყურებოდა ქალაქის მერსაც! სამაგიეროდ, ამაყად იდგა ლამაზ ფოტოზე და ამაყადვე ანიშნებდა თავის პრეზიდენტს იქ, სადღაც მაღლა! და ეტყობოდათ, მართლაც, ფეხებზე ეკიდათ თბილისი და თბილისელები!

...არჩევნები მოდიოდა!

გუშინ ისევ დამირეკა იმ ჩემმა ძველმა მეზობელმა:

– ბიჭო, დაანებე თავი, ნუ გაახმოვანებ ნურსად, რაც მე გითხარი!... რამე არ აგიტეხონ შენც!... „პოტიკია“ ეს ყველაფერი! გინდა ილაპარაკე და გინდა არა!... მე მხოლოდ ის მაწუხებს, უცხოელმა სტუმრებმა არ ნახონ ჩვენი სიყალბე, თორემ... ჯანდაბა ჩვენს თავს!... მერები და პრეზიდენტები მოდიან და მიდიან, ხალხი კი, რჩება!... პატრონი გამოუჩნდება ქვეყანას!

დავფიქრდი! კიდევ ერთხელ ჩავხედე თვალებში სინამდვილეს, კიდევ ერთხელ დამიდგა თვალწინ მათხოვრებით გავსებული „რუსთაველი „და ჩვენი ქალაქის ქუჩა-ფოლორცები და, მემცხეთა! ბრმების დაწერილი მეჩვენა მაღალ დონეზე ჩამოყალიბებული მონაგონი,–მონაგონია აბა, რა არის? იხარჯება მილიონები, ქვეყანა კი, უპოვართა თავშესაფარს ჰგავს! ჰოდა, ვის ესიამოვნება მათთვის „დასახარჯის“ განზე „დახარჯულზე“ საუბარი?

...მაგრამ ეს „წკიპურტები“ უკვე დაწერილი მქონდა და მათ მიერ დაგებული ასფალტივით ხომ არ წავშლიდი კალმით ნაწერს?!

**პაჭუ პაჭკორია.**

„ევრო – 2012“



# „ფუტბოლ ვსიო სპიშეტ“

**სმოლენსკის ტრაგედიამ საგრძნობლად გააუარესა რუსეთისა და პოლონეთის ისედაც არცთუ ულრუბლო ურთიერთობა. ჰოდა, ბედი არ გინდა – ევროპის ჩემპიონატის ფინალური ტურნირის ჯგუფურ რაუნდში კენჭისყრამ ამ ქვეყნების ნაკრებები ერთ კვარტეტში მოახვედრა.**

როგორც მოსალოდნელი იყო, მათ უშელავათო ბრძოლა შესთავაზეს ვარშავის ეროვნულ სტადიონზე შეკრებილ მრავალრიცხოვან აუდიტორიას, თუმცა უმართავი პროცესები პოლონეთის დედაქალაქის მთავარ სპორტულ სარბიელზე და ქუჩებში პრინციპულ მეტოქეთა შეხვედრამდე დაიწყო, როცა რუსმა ტურისტებმა ჯერ იქაური სტიუარდები გაიგდეს წიხლქვეშ, ხოლო შემდეგ თავად გაილახნენ სასტიკად მასპინძელთა ქომაგთაგან.

ბუნებრივია, მოვლენათა ასეთმა განვითარებამ საკმარისი საფუძველი მისცა ტოტალიზატორების სტაბილურ სტუმრებს, გამოეთქვათ ვარაუდი, საქმეში სახელმწიფოთა უმაღლესი თანამდებობის პირების ჩარევის შემდეგ გუნდები პოლიტიკურ ზავს გააფორმებენო. ძნელი სათქმელია, მართლაც კაბინეტებში გადაწყდა თუ არა მატჩის ბედი, მაგრამ ფაქტი ჯიუტია: პროგნოზები გამართლდა – 1:1 (ძაგოევი; ბლაშჩიკოვსკიძ.

ასეთმა შედეგმა უკიდურესად დაძაბა „ა“ ჯგუფში შექმნილი ისედაც რთული ვითარება, რადგან მანამდე ჩეხებმა 2:1 სძლიეს სამი ძირითადი მცველის გარეშე მოთამაშე ბერძნებს (ჟირაჩეკი, პილარი; გეკასიძ და დასკვნით ტურში პლეი-ოფში გასასვლელად მასპინძლებთან ფრეც აძლევთ ხელს. ანალოგიური პროგრამა-მინიმუმის გადაჭრა მოუწევთ რუსებს ელადელებთან.

**გიორგი შოთაძე**



ჭიდაობა

# ნადავლი კუშადასური

**წლეულს 17-22 ივლისს პოლონურ კატოვიცეში ჭაბუკ მოჭიდავეთა ევროპის პირველობა გაიმართება. ამ შეჯიბრებისთვის უკეთ მომზადების მიზნით ჩვენმა ბიჭებმა თურქულ კურორტ კუშადასის საერთაშორისო ტურნირში – „ვიქტორიას თასზე“ იასპარეზეს. ქართველმა „კლასიკოსებმა“ და „თავისუფლებმა“ სხვადასხვა სინჯის 10 მედალი მოიხვეჭეს.** ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე გიორგი კურტანიძე (46 კგძ ავიდა. ფინალში მან მასპინძელ ეკრემ ოზთურქს სძლია. გიორგი ხუჭუამ (54ძ, თემურ კვაჭაძემ (58ძ, გელა ბოლქვაძემ (63ძ და ბექა



კანდელაკმა (100ძ მესამე ადგილები დაიკავეს.

თავისუფალი სტილით მოჭიდავეთაგან მეორე ადგილს დასჯერდა გიორგი ჩხარტიშვილი (76ძ, რომელიც ირანელ ალი მოჯერლოს დანებდა. შმაგი თოდუას (42ძ, ტარიელ გაფრინდაშვილს (63ძ, ომარ გურჯიძეს (69ძ და ირაკლი მწითურს (85ძ „ბრინჯაოები“ ერგოთ.

**ლაშა დიდია**

ჭადრაკი

# „ბოკვერები“, „ორბი“, ნტნ-ი და „ივერია“



**თბილისის ჭადრაკის სასახლეში დასრულდა მრავალი სახელოვანი დიდოსტატის აღმზრდელის – ვახტანგ ქარსელაძის ტრადიციული მემორიალი. შეჯიბრებაში 8-14 წლის მოჭადრაკეებით დაკომპლექტებული გუნდები მონაწილეობდნენ. სამ ასაკობრივ ჯგუფში კომპოზიციაში საერთაშორისო დიდოსტატის – დავით გურგენიძის მოსწავლეებმა მიაღწიეს წარმატებას, 10-წლიანებში მზია წერეთლის გაწვრთნილებმა იმარჯვეს.**

**8-წლიანები.** 1. „ბოკვერები“ (6,5 ქულაძ, 2. „ამომავალი ვარსკვლავი“ (5,5ძ, 3. „გარეჯი-8“ (5ძ.

**10-წლიანები.** 1. „ორბი“ (5,5ძ, 2. „კიკამბასი“ (5,5ძ, 3. „ანდრია“ (5ძ.

**12-წლიანები.** ნტნ-ი (6ძ, 2. „აისი“ (5ძ, 3. „ციცინათელა“ (4,5ძ.

**14-წლიანები.** 1. „ივერია“ (11ძ, 2. „მართვე“ (9ძ, 3. ნტნ-ი (9ძ.

ფარიკაობა

# ხმლით, დაშნითა და რაპირით



**ქუთაისის სპორტის სასახლეში საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის – გალაქტიონ ჩიქოვანის სახელობის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი გაიმართა ფარიკაობაში. საასპარეზოდ მასპინძლებთან ერთად თავი მოიყარეს თბილისელმა, ბათუმელმა, რუსთაველმა, ირანელმა, თურქმა, სომეხმა და აზერბაიჯანელმა მუშკეტერებმა. მოხმალავე ვაჟებში საქართველოს ნაკრების წევრებმა – სანდრო ბაზაძემ და მიხეილ მარდალეიშვილმა (ორივე – ქუთაისი) იყოჩაღეს.** შარშანდელი ფინალის მსგავსად, გადამწყვეტ პაექრობაში ამჯერადაც ისინი დაუპირისპირდნენ ერთმანეთს და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ისევ ბაზაძე ავიდა. მესამე ადგილები სულამანიძესა (თბილისიძ და უკლებას (ქუთაისიძ ერგოთ. **გოგონებში** საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. სოზარიანი (ირანიძ, 2. სანადაშვილი, 3. სანდუხაძე (ორივე – ქუთაისიძ და დევსურაშვილი (თბილისიძ.

**რაპირა. ვაჟები.** 1. უგულავა, 2. ღალანიძე (ორივე – თბილისიძ, 3. დანიელიანი, ოგანესიანი (ორივე – სომხეთიძ. **გოგონები.** 1. იაგორაშვილი, 2. გოგლიძე (ორივე – თბილისიძ, 3. აგაბაბიანი (სომხეთიძ, მარტაზავი (ირანიძ.

**დაშნა. ვაჟები.** 1. ამბროლაძე (ქუთაისიძ, 2. კოჩარიანი (სომხეთიძ, 3. კნიაზევი (თბილისიძ, მიქაელიანი (სომხეთიძ. **გოგონები.** 1. პოლოსოვა (სომხეთიძ, 2. საკინე (ირანიძ, 3. ბიბიჩაძე (ქუთაისიძ, არეზი (ირანიძ.

**გივი გაგუა**

ინტერნეტიდან

## შარაპოვა – ოლიმპიური მედროშე

**ჩოგბურთში 2012 წლის საფრანგეთის ღია ჩემპიონატის გამარჯვებული მარია შარაპოვა შეიძლება ლონდონის ოლიმპიადაზე რუსეთის ნაკრების მედროშე გახდეს. ამაზე განაცხადა რუსეთის ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა შამილ ტარპიშევმა.**

მისი თქმით, ალბათ შვეიცარიის ნაკრების მედროშე იქნება როჯერ ფედერერი, ესპანეთისა კი – რაფაელ ნადალი. ისე რომ, ჩოგბურთმა სახელი გაითქვა მთელს მსოფლიოში. რუსეთის სპორტის მინისტრის ვიტალი მუტკოს განცხადებით, საბოლოოდ გადაწყვეტილი არაა მედროშის საკითხი, მაგრამ მაშა ღირსეული სპორტსმენიაო – და ის ამ წოდების ნამდვილად ერთ-ერთი პრეტენდენტია. მაგრამ ჩასატარებელია არჩევნების სპეციალური პროცედურა. ჯერ კაპიტნები უნდა აირჩიონ, შემდეგ კი კანდიდატები ოლიმპიურმა კომიტეტმა უნდა დაამტკიცოს, რაც 10-11 ივლისს გაიმართება. შარაპოვასთან ერთად მედროშის კანდიდატები არიან მოჭიდავენი, სპორტის სათამაშო სახეობების წარმომადგენლები. ბუნებრივია, მედროშეობა ვერ დაეკისრება ისეთ სპორტსმენს, რომელსაც მეორე დღეს ასპარეზობა მოუწევს. ოლიმპიადის გახსნის ცერემონია კი 6-7 საათს გაგრძელდება.



## ფედერერის სახელობის ქუჩა



**გერმანულ ქალაქ ჰალეში ოფიციალურად გაიხსნა ქუჩა, რომელიც შვეიცარიელი ჩოგბურთელის როჯერ ფედერერის სახელობისაა.**

ქალაქის ხელისუფალთ ერთხმად მოიწონეს ქუჩისათვის სახელის შეცვლა, რომლის ინიციატორები ადგილობრივი საჩოგბურთო ტურნირის ორგანიზატორები იყვნენ. როჯერ ფედერერის სახელობის ალეიის საზეიმო გახსნას დაესწრნენ ქალაქის მერი ანე როდენბროკ-ვესელმანი, ტურნირის დირექტორი რაულფ ვებერი და თავად სახელოვანი ჩოგბურთელი, ხუთჯერ რომ გაიმარჯვა ჰალეში. „ეს ჩემთვის დიდი პატივია, – თქვა ფედერერმა, – ბედნიერი ვარ, რომ სამუდამოდ დავუკავშირდი ჰალეს ტურნირს. მიხარია, რომ ყოველ წელს შემიძლია ამ ქალაქში ჩამოსვლა“.

## ფეხბურთელი ტყვეობიდან გაიქცა

**ადამიანების მოტაცება ნიგერიაში ძალზე ჩვეულებრივი ამბავია. 9 ივნისს დელტას შტატში შეიარაღებულმა ადამიანებმა მოიტაცეს „უდინეზესა“ და ნიგერიის ნაკრების ფეხბურთელი კრისტიან ობოდო.**

ფეხბურთელის სიცოცხლისთვის გამტაცებლებმა 150 ათასი ევრო მოითხოვეს. ოჯახის წევრებმა მხოლოდ 100 ათასის შეგროვება მოახერხეს, მაგრამ იმის გადახდაც აღარ მოუწიათ. ობოდომ მოახერხა ტყვეობიდან გაქცევა. როგორც თავად ფეხბურთელი ჰყვება, ის ეკლესიაში მიმავალი ექვსმა ნიღბიანმა კაცმა მოიტაცა და თვალებახვეული ჯუნგლებში გადაიყვანეს. ბანდიტები მაშინვე ფეხბურთელის ახლობლებს დაუკავშირდნენ და ფული მოითხოვეს. სამი ბანდიტი ფულის მოსატანად გაემგზავრა, სამიც ტყვეს დაუყენეს დასაცავად. ფულისთვის წასულები მალე დააპატიმრეს. დანარჩენებმა კი გადაწყვიტეს ფეხბურთელის მოკვლა. მაგრამ ობოდომ ივაჟკაცა, ერთ-ერთი მცველი ხევში გადააგდო და გაიქცა, რასაც სასწაულს აბრალებს.



კალათბურთი

# გასდით და ტირიან

**„ოკლაჰომამ“ ტრიუმფით განვლო ნბას რეგულარული სეზონი, თუმცა გულშემატკივრები კარგა გვარიანად ანერვიულა – ბრძოლების უმეტესობაში საწადელს დასკვნით პერიოდში აღწევდა, მანამდე კი მდევრის როლში იყო.**

ახლა, როცა ეს არწივი ძალიან მაღლა აფრინდა და უკვე დიდ ფინალშია, ასეთი სიუჟეტის ერთგულება რისკის ფაქტორთანაა დაკავშირებული, მით უმეტეს მრისხანე მეტოქის – „მაიამის“ ფაქტორის გათვალისწინებით, თუმცა რადგან გამარჯვებულებს არ ასამართლებენ, ვაღიაროთ, რომ კოკამ ამჯერადაც მოიტანა წყალი.

**„ოკლაჰომი“ – „მაიამი“ 105:94.**
**სერიის ანგარიში 1:0.**

**ყველაზე შედეგიანები:** დიურანტი – 36 ქულა (აქედან ნახევარი – უკანასკნელ მეოთხედშიძ, ვესტბრუკი – 27 ქულა („ოკლაჰომა“ძ, ჯეიმსი – 30 ქულა, უეიდი – 17 ქულა („მაიამი“ძ.

**ცნობისთვის:** ბოლო პერიოდი მასპინძლებმა 31:21 მოიგეს.

სერიის მეორე მატჩი ხვალ ისევ ოკლაჰომაში გაიმართება.

**ვიტალი ჯაფარიძე**



## ვაიმე, ენავ!

# „ნოვატორული“ ზმნები პოსტ „ვარდუმ“ ტელეეკრანზე



**თქვენც მიაქცევდით, ალბათ, ყურადღებას, თუ როგორ გაიზარდა ჩვენს ტელეარხებზე ახალი ზმნების „წარმოება“ უცხო სიტყვებზე დაფუძნებით. სისტემატურად „ხმარებადი“ სიტყვები გახდა, მაგალითად, „აპელირებს“, „ვარირებს“, „მუსირებს“, „პოზირებს“, „ციტირებს“ და სხვა მისთანანი.**

იმ დილით კი (12 ივნისს დილითძ, „იმედის“ ერთმა „ქრონიკიორმა“ რომ „რეპეტიციობენ“ შემოგვთავაზა, ვეღარ მოვითმინე და „მაშინ ჩემ თოფმაც გამოიჭექა“... ამ წერილის სახით.

ესე იგი, რა გამოდის? შეიძლება ყველა „ცია“-თი დაბოლოებული ლათინური სიტყვა ავიღო და ქართული ზმნა ვაკეთო? ამბიციობენ, დისერტაციობენ, დოტაციობენ, ვიბრაციობენ, როტაციობენ, სანქციობენ და კიდევ ბევრი?..

არა, ძმაო, ასე არ გამოვა საქმე... ეგებ დროა, რომ ამ აზოზოქრებულმა და ცოდვების დამტრიალებელმა კონტროლის პალატამ ტელევიზიასაც მიაკითხოს თუნდაც ნათია-მრისხანის სახით და იქაური ენაც აიყვანოს კონტროლზე? ან ეგებ მანდაც ტურები და მგლები ჩავაყენოთ (მანდაც — ტელეკომპანიებშიძ, როგორც სკოლებში მანდატურები?..

**თამაზ ებანოიძე**

## სავარჯიშო ლოგიკაში

# მგელი არ ჭამს თივასა...

**მდინარე ჩოლოქზე გადასაყვანად მენავეს ზედამხედველობის ქვეშ მყოფი სამი მგზავრი ჩააბარეს — ბაღათურია, საკაშვილი და ცაგარეიშვილი (ალფაბეტის რიგითაა ჩამოთვლილი). მენავის გარდა, ნავში მხოლოდ ერთი მგზავრი ეტეოდა, ამასთან აუცილებლად უნდა დაცულიყო ასეთი პირობა — არასგზით არ უნდა დარჩენილიყვნენ ერთმანეთთან წყვილები: ბაღათურია და საკაშვილი ან საკაშვილი და ცაგარეიშვილი (ბაღათურია და ცაგარეიშვილი — კი ბატონო...) ამოცანა გვეკითხება — როგორ უნდა გაერთმია თავი მენავეს დავალებისთვის?**

პატივცემულ მკითხველს თუ მგლის, თხისა და თივის არაკი სმენია, ამ დავალების შესრულება არ გაუჭირდება. მართალია, ამოცანის ამოხსნა აქვე მოგვყავს, მაგრამ ნუ იჩქარებთ იმის გაცნობას, ეცადეთ, რომ თავად გაერკვეთ სიტუაციაში; ხოლო თუ მოთმინება არ გეყოფათ, ან დაგეზარებათ — აჰა, ინებეთ:

მენავე აქეთა ნაპირზე ტოვებს ბაღათურიასა და ცაგარეიშვილს, ჩოლოქს იქით კი საკაშვილი გადაჰყავს; უკან ბრუნდება, გადაჰყავს ბაღათურია, საკაშვილს აქეთ აბრუნებს, ტოვებს და იქით გადაჰყავს ცაგარეიშვილი; მერე ისევ ბრუნდება, მიჰყავს იქით ნაპირზე საკაშვილი და დამხვდურ ბაღათურიასა და ცაგარეიშვილს შეუერთებს. თურქეთის მხარეს როგორ წავა ამ სამეულის საქმე, ეს უკვე მენავის პრობლემა აღარ არის... ალბათ, იქაც გამოჩნდება ზედამხედველი და მგელს თხას არ შეაჭმევინებს, თხას კიდევ — თივას...

**ბერდია ბედოიძე**

## ჭინჭარსიტყვა

### „მოძრაობა და მხოლოდ მოძრაობა, ჩემო თერგო“...

*სულელური მარშრუტების აჩემებით,*
*ენერგიის ულეველი ნარჩენებით,*
*თან ხარჯების არნახული მაჩვენებლით —*
*სულ დადიხარ, სულ მოძრაობ, არ ჩერდები...*
*მოასვენე ჩვენები და არჩევნები...*
*თუმცა არა — წინ ხომ გიდევს არჩევნები...*

**რამაზ ილმელი**

## ხსოვნა

# ვანო გურგენიძე

გარდაიცვალა შესანიშნავი მამულიშვილი, ჭეშმარიტი პატრიოტი, ქვეყნის თავდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილე, გენერალ-ლეიტენანტი **ვანო გურგენიძე**.

გენერალ ვანო გურგენიძეს, როგორც თვალსაჩინო მხედართმთავარსა და მაღალკვალიფიციურ სამხედრო სპეციალისტს, საქართველოს თანამედროვე ისტორიაში ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავს. თუ დღეს ვამაყობთ საქართველოს არმიით, გვიხარია სამხედრო ტექნიკის ნოვაციები, უნდა გვახსოვდეს, რომ მისი მშენებლობის საძირკველი გენერალ ვანო გურგენიძის მაღალ სამხედრო პროფესიულ ოსტატობაზეც არის დაფუძნებული.



ვანო გურგენიძე დაიბადა 1941 წლის 22 ნოემბერს ზესტაფონის რაიონის სოფელ ზოვრეთში, მუშის ოჯახში. საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე მისი ცხოვრება და საქმიანობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული ჯართან. 1963 წელს მან დაამთავრა ომსკის საერთო საჯარო სამეთაურო სამხედრო სასწავლებელი და გაგზავნეს ბელორუსიის სამხედრო ოლქში ოცეულის მეთაურად, შემდეგ კი დაინიშნა საინჟინრო ჯგუფის უფროსად. იქიდან, არმიის სარდლობის რეკომენდაციით, სწავლა განაგრძო ჰაერსაწინააღმდეგო დაცვის ჯარების მინსკის საინჟინრო-საზენიტო-სარაკეტო უმაღლეს სასწავლებელში, რომლის დამთავრებისთანავე, 1971 წლიდან, ბელორუსიის სამხედრო ოლქში ეუფლებოდა სამეთაურო საქმეს. სწავლისა და სამხედრო ცოდნის სურვილი ნიჭიერ ქართველ ოფიცერს მუდამ ჰქონდა და მალე, ხარკოვის რადიოტექნიკური სამხედრო აკადემიის დამთავრების შემდეგ სამხედრო სამსახური ჯერ ბაქოს სამხედრო ნაწილებში გააგრძელა, შემდეგ კი დანიშნეს ჰაერსაწინააღმდეგო დაცვის მე-19 არმიის სარდლის მოადგილედ, სადაც მიანიჭეს პოლკოვნიკის წოდება და დააჯილდოვეს სამეთაურო ორდენით.

1980-იანი წლები რთული დრო იყო. საბჭოთა კავშირი, როგორც იტყვიან, სულს ღაფავდა. ცხელი წერტილები ჩნდებოდა არა მხოლოდ კავკასიაში, არამედ საბჭოთა იმპერიის სხვა რეგიონებშიც. ვანო გურგენიძეს დიდხანს არ უფიქრია — გაწყვიტა ყოველგვარი კავშირი საბჭოთა არმიასთან და დაიწყო ახალი, დამოუკიდებელი საქართველოს სამსახური.

1992 წლის იანვარში ვანო გურგენიძე დაინიშნა საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილედ შეიარაღების დარგში. იმავე წლის 15 ოქტომბერს მიენიჭა გენერალ-მაიორის, 1993 წ. 15 თებერვალს კი — გენერალ-ლეიტენანტის სამხედრო წოდება.

უამრავი პრობლემა დააწვა გენერალ ვანო გურგენიძეს. ერთ-ერთი უმთავრესი იყო — საქართველოს ერთიანი შეიარაღებული ძალების შექმნა, მისი ღირსეული შეიარაღება.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილედ ყოფნის პერიოდში გენერალი ვანო გურგენიძე ყოველმხრივ უწყობდა ხელს საქმიანი კონტაქტების დამყარებას და სამხედრო თანამშრომლობას უკრაინასთან და თურქეთთან, აზერბაიჯანთან, სომხეთთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან და სხვა სტრატეგიულ პარტნიორებთან.

ყველა დავალებას, ყველა საქმეს გენერალი ვანო გურგენიძე ემსახურა უმწიკვლოდ, ჩვეული შემართებით, პატრიოტული თავდადებით.

ეს ენციკლოპედიურად განათლებული, სამხედრო საინჟინრო საქმის მაღალკვალიფიციური სპეციალისტი და სამაგალითო მეთაური, ცხოვრებაში იყო თავმდაბალი, გამოირჩეოდა მდიდარი შინაგანი კულტურით და ტაქტით, სიდინჯითა და მშვიდი ხასიათით, მაგრამ საოცრად შეუპოვარი ხდებოდა, როცა გულგრილობას, უხამსობასა და უზნეობას წააწყდებოდა. გენერალი ვანო გურგენიძე თავისი არაჩვეულებრივი ადამიანური თვისებებით, ნიჭითა და მაღალი პროფესიონალიზმით, სამხედრო აკადემიური ცოდნით გამოირჩეოდა არა არა მარტო თავის სამშობლოში, არამედ საზღვარგარეთის მეგობრულ ქვეყნებშიც, სადაც მას კარგად იცნობდნენ და აფასებდნენ როგორც ბრწყინვალე პროფესიონალსა და პატიოსან ადამიანს.

გენერალი ვანო გურგენიძე დაჯილდოებულია საქართველოს უმაღლესი სამხედრო ორდენებით: იგი ღირსეულად ატარებდა ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის, ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორ ორდენს, საბჭოთა კავშირის მრავალ ორდენსა და მედალს.

საქართველომ დაკარგა ერთ-ერთი გამოჩენილი შვილი, ვისითაც შეუძლია და უნდა იამაყოს კიდეც ჩვენმა ხალხმა.

საქართველოს გენერალიტეტის სახელით: გენერალ-ლეიტენანტები — **დუმბაძე თამაზი, თათარაშვილი ნოდარი, თევზაძე დავითი, ლეკვეიშვილი ომარი, მეფარიშვილი ზურაბი, ნადიბაიძე ვარდიკო, ნიკოლაიშვილი გურამი, ფირცხალაიშვილი ჯონი, ჭუმბურიძე ჯემალი**; გენერალ-მაიორები — **გომელაური ვალერიანი, იმნაძე ვლადიმერი, იუკურიძე გივი, კვინიკაძე გიორგი, კობალაძე კობა, ლორია თეიმურაზი, ნაყოფია ვალერი, ოზხერელი თენგიზი, რაზმაძე თენგიზი, უჩაძე ზაური, ქვარაია ვალერი, ყარყარაშვილი გიორგი, შუბლაძე თენგიზი, ჭოჭუა ემზარი, ხითარიშვილი ტარიელი**; პოლკოვნიკები — **დავითაძე ავთანდილი, კვარაცხელია გიორგი, კობერიძე გიორგი, ლომიძე ანატოლი, მეგრელიძე გელა, ტყემალაძე მიხეილი, ფილიევი ავთანდილი, ჩიქოვანი ჯემალი, დოლიძე ლევანი**.

## ინფორმაცია

### დაიკარგა გამოცდების ეროვნული ცენტრის ყოფილი თანამშრომელი

**შინაგან** საქმეთა სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი შოთა უტიაშვილი გამოცდების ეროვნული ცენტრის ყოფილი თანამშრომლის მამუკა ჯიბლაძის გაუჩინარების ფაქტს ადასტურებს. როგორც უტიაშვილმა განაცხადა, ჯიბლაძის გაუჩინარების ფაქტზე შინაგან საქმეთა სამინისტროს დაკარგულის ნათესავებმა მიმართეს.

მამუკა ჯიბლაძის გაუჩინარების ფაქტზე საუბრობენ გამოცდების ეროვნული ცენტრის ყოფილი თანამშრომლებიც. მათი განცხადებით, ჯიბლაძე რამდენიმე დღეა, არ უნახავთ და ვერც მის ადგილსამყოფელს მიაკვლიეს.

ცენტრის ყოფილი თანამშრომლები ნაკლებად ვარაუდობენ, რომ დაკარგულს რაიმე სახის პირადი პრობლემები ჰქონოდა. ჯიბლაძემ სამსახური მას შემდეგ დატოვა, რაც ცენტრის ხელმძღვანელობიდან მაია მიმინოშვილი გაათავისუფლეს.

### დაზარალებულს სადაზღვევო კომისიამ იმედი გაუცრუა

**ჟურნალისტ** ია თინიკაშვილის განცხადებით, სადაზღვევო კომპანია „ტაო“ დაზიანებული ავტომობილის აღდგენაზე უარს ეუბნება.

როგორც თინიკაშვილი აცხადებს, მისი კუთვნილი ავტომანქანა, რომელიც 8 ივნისს დაუდგენელმა პირებმა ცეცხლსასროლი იარაღით დააზიანეს, სწორედ ამ სადაზღვევო კომპანიაშია დაზღვეული.

ჟურნალისტის თქმით, სადაზღვევო კომპანიის წარმომადგენელმა დავით პაპაშვილმა მას, როგორც დაზარალებულ კლიენტს, განუცხადა, რომ ავტომანქანა მეტად უნდა დაზიანებულიყო, რათა კომპანიას ზარალი აენაზღაურებინა.

„ბოდიშს ვიხდი, რომ ცოცხალი გადავრჩი“! — მიმართავს ია თინიკაშვილი სადაზღვევო კომპანია „ტაოს“.

ამასთან, ჟურნალისტმა ავტომანქანის ფოტოებიც გაავრცელა.

### იტალიაში საქართველოს მოქალაქე დაიღუპა

**იტალიაში** საქართველოს საკონსულომ ქალაქ ბარიში საქართველოს მოქალაქის დაღუპვის ფაქტი დაადასტურა. როგორც საქართველოს საკონსულოში განაცხადეს, პროკურორმა გადმოსვენებაზე უფლება უნდა გასცეს.

საკონსულოს ინფორმაციით, ისინი ყველანაირად დაეხმარებიან ოჯახს გადმოსვენებაში, ასევე, გადმოსვენებისთვის საჭირო თანხას აგროვებენ ბარიში მცხოვრები ქართველებიც.

იტალიის ქალაქ ბარიში საქართველოს მოქალაქის დაღუპვის შესახებ ინფორმაცია იტალიურმა მედიამ გაავრცელა. როგორც იტალიური გამოცემები წერენ, 19 წლის ახალგაზრდა გ.კ. მოულოდნელად ცუდად გახდა და ზღვაში ჩაიძირა. მეგობრებმა და მაშველებმა მისი გადარჩენა ვეღარ შეძლეს.

### პანამიდან კიევში კოკაინი კუჭით ჩამოიტანა

**კიევში** შევჩენკოს რაიონული განყოფილების თანამშრომლებმა ნარკოტიკებით ვაჭრობაში ეჭვმიტანილი პირი დააკავეს, რომელსაც ერთდროულად საქართველოსა და პანამის მოქალაქის პასპორტები აღმოაჩნდა.

უკრაინული მედიის ცნობით, იგი ეჭვმიტანილია ნარკოტიკებით ვაჭრობასა და საკუთარი კუჭით კოკაინის კონტრაბანდაში.

32 წლის მამაკაცმა უკრაინაში პანამიდან 100 ათასი დოლარის ღირებულების 0.5 კილოგრამი კოკაინი შეიტანა. ეჭვმიტანილი კიევის 28 წლის მცხოვრებთან საუბრისას დააკავეს.

უკრაინის კანონმდებლობა აღნიშნული დანაშაულისთვის, ნარკოტიკის კონფისკაციასთან ერთად, 9-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

**ინტერპრესნიუსი**

საქართველოს ენერგეტიკის მუშაკთა პროფესიული კავშირი თანაუგრძნობს ქალბატონ ეთერ მათურელს მამის

**ლაზარე მათურელის**

გარდაცვალების გამო.

ალეკო კაკულია, ნინო ბეჟიტაშვილი თანაუგრძნობენ დავით, რუსიკო, ამირან როგავებს ძვირფასი დისა და ჩვენი ქალაქის დამსახურებული ექიმის

**რუიზან როგავა-ჯანვერდაშვილის**

გარდაცვალების გამო.

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77;
599 32-85-76.
გ. ახვლედიანის ქ. №19.

## გაიხარეთ!

# ერთი წელიც გასულა...



ყოველი ზაფხულის დადგომა სწავლა-გარჯის ერთგვარი შეჯამებაა ქვეყნის საჯარო თუ კერძო სკოლების, უმაღლესი სასწავლებლებისთვის. მერაბ ბერძენიშვილის კულტურის ცენტრ „მუზაში“, სწორედ საანგარიშო კონცერტი გამართეს დები ჭოხონელიძეების სამუსიკო სტუდიის აღსაზრდელებმა. ნორჩი მომღერლები — შუათანა ჭოხონელიძის — თინათინის აღსაზრდელები — ერთმანეთს ეცილებოდნენ ბავშვური ხმების სიწკრიალეში. ღელავდა აღმზრდელი, თუმცა ხარობდნენ მშობლები და ბებია-ბაბუები, რადგან ეს ერთი წელი, დიახაც, დატყობოდა თვალმახარა გოგო-ბიჭების ზრდადაოსტატებას.

**აკა მაღლაკელიძე**

## ჩვენი პრესდაიჯესტი

### გუშინდელი გაზეთებიდან



### დევნილები კვლავ საკუთრების დაკანონებას ითხოვენ

ამ თხოვნით მათ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთან აქცია გამართეს. ისინი ამბობენ, რომ პრეზიდენტის განკარგულების მიუხედავად, საცხოვრებელი ფართები მათთვის მაინც არავის დაუკანონებია და კვლავ დაუკანონებელ ბინებში უწევთ ცხოვრება.

**„რეზონანსი“.**

### პრომეთეს მღვიმეში შესვლა საშიშია!

ტურისტული განვითარების ყოფილი ხელმძღვანელის თემურ ჩოჩუას ინფორმაციით, პრომეთეს მღვიმეში შესვლა ტურისტებისთვის, სახიფათოა. როგორც მან განაცხადა, მღვიმეში ინფრასტრუქტურის განვითარებაზე საქველმოქმედო ასოციაცია „ატუმ“ იზრუნა, მარტის ბოლოს კი ტერიტორია ხელისუფლებამ გადაიბარა და გადაბარების შემდეგ მღვიმეში სარემონტო სამუშაოები სერიოზული დარღვევებით ჩატარდა.

**„ქართული სიტყვა“.**

### „სააკაშვილის რეჟიმის არჩევნების გზით შეცვლა გამორიცხულია“

— აცხადებს ადვოკატი და უფლებადამცველი ნანა კაკაბაძე, — ამ რეჟიმისთვის უფლებადამცველების საუბარი, ძაღლის ყეფასავითაა, ყურადღებას არავინ გვაქცევს. ასე რომ არ იყოს, თავის დროზე მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში ჩვენ ვიყავით პირველი ქვეყანა, რომელშიც გაიხსნა ციხეები და მონიტორინგის საშუალება ჰქონდა ყველას. დღეს კი ასევე ჩვენ ვართ პოსტსაბჭოთა სივრცეში პირველი ქვეყანა, რომელშიც ციხეები დაიხურა... სააკაშვილის რეჟიმი აუცილებლად უნდა შეიცვალოს, მაგრამ არჩევნების გზით მისი შეცვლა, გამორიცხულია.

**„საქართველო და მსოფლიო“.**

### მერია უპატრონო ძაღლების თავშესაფარს აშენებს

თავშესაფარმა ყოველთვიურად 400-450 უსახლკარო შინაური ცხოველი უნდა მიიღოს.

პროგრამის მიხედვით, თავშესაფარმა მოხეტიალე, უსახლკარო ცხოველებს ვეტერინარული დახმარება, ვაქცინაცია, სტერილიზაცია უნდა ჩაუტაროს. სახელმწიფოს სტერილიზაცია დაახლოებით 70-100 ლარამდე უჯდება. თავშესაფარში მიყვანილ ძაღლს განსაკუთრებულ შემთხვევაში მოკლავენ. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ მეტისმეტად აგრესიული იქნება და განუკურნებელი დაავადება ექნება.

შენობა უახლოეს მომავალში გაიხსნება.

**„ახალი თაობა“.**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## დაიჯესტი

### „მარკ თვეინ“ - გაზომე ორჯერ

**ამერიკის ერთ-ერთი უდიდესი მდინარის მისისიპის პირას მდებარე პატარა ქალაქის ჰანიბალის სახელი მის მცხოვრებთა გარდა იქნებ სხვა ბევრ ხალხსაც არ სცოდნოდა, რომ არა ერთი იქაური კაცი, რომელსაც სემუელ კლემენსი ერქვა. სწორედ აქ სმენია პატარა სემუელს მისისიპელ წყლის დონის მზომელთა შეძახილი „მარკ თვეინ!“ — „გაზომე ორჯერ!“, რომელიც მან ფსევდონიმად აიღო და რომელმაც მისისიპისპირა ჰანიბალი საქვეყნოდ ცნობილი გახადა.**



ჰანიბალმა და მისმა მცხოვრებლებმა მარკ ტვენის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი დაიკავეს. მარკ ტვენის სახელს კი იქაურებისთვის დღესდღეობითაც კარგი შემოსავალი მოაქვს, საერთო ყულაბაში თავისი „წვლილი“ მის გმირებსაც შეაქვთ. აქაა სასტუმროები „მარკ ტვენი“, „ტომი და ჰეკი“. „მარკ ტვენის“ სახელს ატარებენ ასევე რესტორნები, ბარები, თბომავალი, აქ არის კემპინგი „ინდიელი ჯო“, სავაჭრო ცენტრი „ჰეკ ფინი“, ზაფხულში გაგიმასპინძლდებიან ცივი კოქტეილით „ბეკი ტეტჩერი“.

ჰანიბალში თვალისჩინივით უფრთხილდებიან მწვანედარაბებიან სახლს, სადაც ტვენების ოჯახი ცხოვრობდა, მის ახლოს მუზეუმში წარმოდგენილია მწერლის საბეჭდი მანქანა, ჩიბუხები, წიგნების პირველი გამოცემები, საპნისგან გამოთლილი მისი ბიუსტი, მანტია, რომელიც მას ოქსფორდის დოქტორის საპატიო წოდების მინიჭების ცერემონიაზე ეცვა.

ბეკი ტეტჩერი, როლის პროტოტიპი ლაურა ჰოკინსი ჰყავდა, 1928 წელს გარდაიცვალა და მის საფლავზე ორივე სახელია ამოტვიფრული, რადგან მარკ ტვენმა იგი მაშინ უკვდავყო, როცა დაწერა, რომ ტომ სოიერი ამ „შესანიშნავ ლურჯთვალება არსებას თოფის გაუსროლელად დანებდა“.

ქალაქში ყოველწლიურად ადგილობრივ ბავშვებს შორის ტომსა და ბეკის ირჩევენ და ტომ სოიერის ერთკვირეულს მართავენ. გარდა ამისა, დღესასწაულის მთავარი გმირი, ყოველთვის, ცხადია, თეთრ კოსტიუმში გამოწყობილი, დიდულვაშება, მახვილგონივრული და მხიარული მარკ ტვენია, კაცი, რომელიც ახლაც პატრონობს თავის პატარა მისისიპისპირა ქალაქს.

### გეოიდის ამერიკული „სიმსუბუქე“

**მიუნჰენის ტექნიკური უნივერსიტეტის ასტრონომიული ფიზიკისა და ფიზიკური გეოდეზიის სპეციალისტებმა ცოტა ხნის წინათ სტუდენტებს გასაოცრად ლამაზი სურათები აჩვენეს, რომლებზეც კარგად ჩანს, რომ დედამიწა მრგვალი სულაც არ არის.**

მეცნიერებისთვის, ცხადია, დიდი ხანია ცნობილია, რომ დედამიწა უფრო კარტოფილს ჰგავს და არა ბურთს, ამ ფორმას კი გეოლოგიაში „გეოიდს“ უწოდებენ. მაგრამ აქამდე ბევრს არ წარმოედგინა, რომ ეს გეოიდი ასეთი ოკრობოკრო და დაბორცვილია.

დედამიწის ზუსტი ფორმის დადგენა ევროპის კოსმოსური სააგენტოს თანამგზავრ GOCE-დან მიღებულ მონაცემების საფუძველზე გახდა შესაძლებელი, რომელიც უმცირეს გრავიტაციულ ანომალიებსაც აფიქსირებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი ზუსტად აგნებს იმ ადგილებს, სადაც სიმძიმის ძალა თუნდაც უმნიშვნელოდ, პროცენტის მემილიონე ნაწილადაც კი (!) განსხვავებულია. თანამგზავრი ასევე რელიეფის ოდნავ უსწორმასწორობასაც



უშეცდომოდ აღნიშნავს.

აღმოჩნდა, რომ ევრაზიაში უფრო მაღალი მიზიდულობის მქონე უბნები ჭარბობს, ისევე, როგორც ეს, ვთქვათ, აფრიკაშია. ჩრდილოეთ ამერიკაში კი სიმძიმის ძალა ნაკლებია.

იქნებ ამიტომაა, რომ ჩრდილოეთ ამერიკაში ცხოვრება გაცილებით იოლია?

## ანეკდოტები

**— ძვირფასო, ჯერაც გაუპარსავი ხარ? ჩვენ ხომ თეატრში მივდივართ! — უსაყვედურებს ცოლი ქმარს.**

**— მე გავიპარსე.**

**— როდის?!**

**— როცა შენ გამოწყობა დაიწყე!!!**

* * *

**— წყეული ზამთარი! ისეთი ყინვაა, მანქანის საკეტები იყინება, ვერაფრით ვერ ვაღებ! — წუწუნებს პეტკა ძმაკაცთან.**



**— შენც ცხელი წყლით გაალღვე ყინული.**

**— გიჟი ხარ? მოსკოვის ქუჩებში ჩაიდნით ვიარო მანქანების მოსაპარავად?**

* * *

**— გუშინ ჩემს შეყვარებულს ვეჩხუბე. მითხრა, ძუკნა ხარო...**

**— შენ რა უთხარი.**

**— მე ვუთხარი, პედერასტი ხარ-მეთქი.**

**— მან რაო?**

**— თავისი ჩანთა ჩამცხო!**

## კადრი



**ავტორთა საყურადღებოდ!**
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
(ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24